2014 წელი, 25 სექტემბერი - 1 ოქტომბერი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

# ახალი განათლება

№27 (661) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge




## მასშტაბური განათლების ფორუმი საქართველოში

თამარ სანიკიძე:
„ეს არის უნიკალური შანსი, უნიკალური პლატფორმა იმისთვის, რომ განისაზღვროს სამომავლო ურთიერთობები და პარტნიორობა ქართველ წარმომადგენლებთან. ამიტომ დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანია და ვფიქრობ, ბევრი სიახლის მომტანი იქნება.“

გვერდი 3

„ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნა სახელმწიფო მექანიზმები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დასახმარებლად. ადრე არ არსებობდა ამგვარი მექანიზმი და ამ მხრივ, მთავრობის ძალისხმევა მეტად დასაფასებელია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ბავშვებს ქუჩისკენ უბიძგებს, არის სიღარიბე. საქართველოში 50 000 ბავშვი უკიდურესი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და მოიხმარს დღეში 2 ლარს. ოჯახური ძალადობა, ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოხმარება და დისფუნქციური ოჯახებიც უწყობს ხელს ბავშვების ქუჩაში გასვლას. სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს სიღარიბის საკითხი და გაძლიერდეს არსებული სოციალური დაცვის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სოციალურად დაუცველი ბავშვების და ოჯახების საჭიროებები“.

საშა გრაუმანი
გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში

## ინიციატივა ინდივიდზე მორგებული სათანადო მომსახურებებით

გვერდი 4-5



## ვიქტორინა გრძელდება

### „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“

გვერდი 2

GameTV

## აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, თოთხმეტი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან იმუშავებენ 2015-2017 სასწავლო წლების განმავლობაში, ინგლისური ენის სწავლების დონისა და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი** (დუისის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), **მცხეთა-მთიანეთი** (ყაზბეგის გარდა), **ქვემო ქართლი**, **შიდა ქართლი**, **სამცხე-ჯავახეთი**, **აჭარა**, **გურია**, **იმერეთი**, **სამეგრელო** (ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ზუგდიდის გარდა), **რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი**. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებსა და ქალაქებს, რომლებიც იმყოფებიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ათკილომეტრიან ზოლში.

თუ თქვენი სკოლა არის ზემოთ აღნიშნულ რეგიონში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი ბადე შეადგენს **26 საათს** და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2015-2017 აკადემიურ წლებში, გაეცანით საინფორმაციო დანართს და დაიტოვეთ სკოლაში, შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე), მასპინძელი ოჯახის განაცხადები (ქართულ ენაზე) და ფორმები მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ა, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე

education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან საგანმანათლებლო რესურსცენტრებში. მოხალისის მოთხოვნის ფორმების ჩამოტვირთვა ასევე შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ვებგვერდიდან:

http://georgia.peacecorps.acsitefactory.com/media/931#overlay-context=user

**სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა 20 ოქტომბერი, 2014 წელი.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელებს:**
**ასმათ სიხარულიძეს (აღმოსავლეთი) ან თეო ნეფარიძეს (დასავლეთი), ტელეფონი: (0 32) 224 12 24, ფაქსი: (032) 239 91 06**

ინფორმაცია

## განათლების სამინისტრომ კონრად ადენაუერის ფონდთან მემორანდუმი გააფორმა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** და კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენლობის რეგიონულმა დირექტორმა **ჯანან ატილგანმა** ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის ამაღლებას საქართველოს საჯარო სკოლებში.

მემორანდუმის საფუძველზე, სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, მხარეებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

მემორანდუმი ითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის, სასწავლო მასალების, დამხმარე მეთოდოლოგიური მასალებისა და სხვა საგანმანათლებლო პროდუქტის შექმნას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავების პროცესის ხელშეწყობას, კერძოდ, საექსპერტო საქმიანობის, სამუშაო შეხვედრების, საჯარო ღონისძიებების ორგანიზებას როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში.

აღნიშნული პროექტი დაფინანსდება ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ.



## *იურისტის კონსულტაცია*

**მუშაობის დაწყებიდან რამდენი ხნის შემდეგ წარმოეშობა დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება?**

დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის დაწყებიდან თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს, მხარეთა შეთანხმებით, შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს, მხარეთა შეთანხმებით, შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებელი უფლებამოსილია, დაადგინოს დასაქმებულთათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა.

**დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი ითვლება შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში?**

შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში არ ითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან 7 სამუშაო დღეზე მეტი ხნით ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დრო.

**შესაძლებელია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისთვის?**

თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, დასაქმებულის თანხმობით, დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია არასრულწლოვნის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

**დროის რომელ მონაკვეთში შესრულებული სამუშაო ითვლება ღამის სამუშაოდ?**

ღამის სამუშაოდ ითვლება სამუშაოს შესრულება ღამის 22 საათიდან დილის 6 საათამდე. აკრძალულია ღამის სამუშაოზე არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება – მისი თანხმობის გარეშე.

**დამსაქმებლის მიერ შრომის ანაზღაურების გაცემის ვადის გადაცილების შემთხვევაში რისი მოთხოვნის უფლება აქვს დასაქმებულს?**

დამსაქმებელი ვალდებულია, ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით. დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.

**დამსაქმებელს რა შემთხვევაში აქვს უფლება, დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს თანხა?**

დამსაქმებელს უფლება აქვს, დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მისთვის დასაქმებულს აქვს გადასახდელი. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

**შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას რამდენი ხნის ვადაშია დამსაქმებელი ვალდებული, დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება?**

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

**შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას რა შემთხვევაშია დამსაქმებელი ვალდებული, დასაქმებულს მისცეს კომპენსაცია?**

დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას შემდეგი საფუძვლებით:

ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;

დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან;

თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს და დასაქმებულს გამოყენებული აქვს ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულება, ასევე სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

ზემოთ მითითებული საფუძვლებით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამასთანავე, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ან დამსაქმებელი უფლებამოსილია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

*ნატა ჩანადირი*
*საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი*

ინფორმაცია

# მასშტაბური განათლების ფორუმი საქართველოში

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანიზებით, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი განათლების ფორუმი გაიმართა სახელწოდებით „განათლება ამერიკაში – ევროპის რეგიონული ფორუმი“, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების წარმატებული უნივერსიტეტების წარმომადგენლები და განათლების სფეროს ექსპერტები ქართველ კოლეგებს შეხვდნენ და გამოცდილება გაუზიარეს. საქართველოს მოქალაქეებს ამომწურავი ინფორმაცია ექნებათ აშშ-ში განათლების პერსპექტივებთან დაკავშირებით.



ფორუმზე მოწვეულმა სტუმრებმა, ამერიკის განათლების სისტემაში არსებული სიახლეები 36 ქვეყნის წარმომადგენლებს გააცნეს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** მონაწილეებს საქართველოს განათლების სამინისტროს სტრატეგია წარუდგინა. გაიმართა განათლების საერთაშორისო ცენტრის პრეზენტაცია, დაისახა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები. ფორუმის ფარგლებში, გაფორმდა რამდენიმე ხელშეკრულება აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებთან და დაიწყო მემორანდუმებზე მუშაობა.

ანალოგიური მასშტაბის ფორუმი საქართველოში პირველად ჩატარდა.

განათლების ფორუმზე ჩამოსულია აშშ-ს 57 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელი, Education USA-ს 80 მრჩეველი და სახელმწიფო დეპარტამენტის 20 წარმომადგენელი.

**თამარ სანიკიძე**: *„საგანმანათლებლო ფორუმი, რომელიც დღეს მიმდინარეობს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერაა ორგანიზებული. ეს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც საქართველოში ოდესმე ჩატარებულა. დაახლოებით 57 ამერიკული უნივერსიტეტის წამომადგენლები და სხვადასხვა შემფასებელი ორგანიზაციები იმყოფებიან დღეს აქ. ეს არის უნიკალური შანსი, უნიკალური პლატფორმა იმისთვის, რომ განისაზღვროს სამომავლო ურთიერთობები და პარტნიორობა ქართველ წარმომადგენლებთან. ამიტომ დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანია და ვფიქრობ, ბევრი სიახლის მომტანი იქნება.“*

**ანა მერელი**, „განათლება ამერიკაში – ევროპის რეგიონული ფორუმის“ დირექტორი: *„მოხარული ვარ, რომ განათლების ყოველწლიურ ფორუმზე ვიმყოფები თბილისში. აქ თავი მოიყარა 150-მდე ადამიანმა შეერთებული შტატებიდან, ევროპიდან და აზიიდან, რათა განვიხილოთ ახალი შესაძლებლობები სტუდენტებისთვის. გვაქვს საშუალება, ვისაუბროთ სტუდენტური მობილობის პროგრამაზე. დღევანდელ ფორუმზე, ასევე, ვისაუბრეთ ქართველი სტუდენტების შესაძლებლობებზე, გაემგზავრონ და ისწავლონ ამერიკის შეერთებულ შტატებში.“*

## თბილისში დასაქმების ფორუმი გაიმართა

თბილისში, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“, დასაქმების ფორუმი გაიმართა. საგამოფენო ცენტრის მე-4, მე-5 და მე-6 პავილიონებში, წინასწარ რეგისტრირებულ დასაქმების მსურველებს პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრების შესაძლებლობა ჰქონდათ. დასაქმების ფორუმი სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა **გაიოზ თალაკვაძემ** გახსნა. ჟურნალისტებთან საუბრისას მან იმედი გამოთქვა, რომ ფორუმზე რამდენიმე ასეული ადამიანი დასაქმდებოდა.

გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროფკავშირების წარმომადგენლები, ასევე, თბილისის მერის მოადგილე **ალუდა გოგლიჩიძე**, სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსი **თეა სტურუა**.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„ფორუმზე წარმოდგენილები არიან როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული კოლეჯები და უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სთავაზობენ“.*

დასაქმების ფორუმზე 180-მდე კომპანია იყო წარმოდგენილი, მათ შორის: ჰოლდინგი „პალიტრა მედია“ და წიგნების მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“. ისინი კანდიდატებს ჰოლდინგში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებას სთავაზობდნენ.

ფორუმი ჯანდაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ორგანიზებით მიმდინარეობდა. მასზე დარეგისტრირების შესაძლებლობა 25 ათას ადამიანს ჰქონდა. თუმცა, რეგისტრაცია მხოლოდ 5507-მა მსურველმა გაიარა.

## 16 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია პროფესიული განათლების ხარისხის გაძლიერებისთვის

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან პარტნიორობით, იწყებს პროექტს „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“.

პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდნენ: განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი **მაგდა მაღრაძე**, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე **ირმა ქავთარაძე**, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი **კათერი კლემენტი** და სხვა მოწვეული სტუმრები.

პროექტი, 2013 წლის 26 ივლისს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა (Millennium Challenge Corporation – MCC) და საქართველოს მთავრობას შორის ხელმოწერილი მეორე კომპაქტის ფარგლებში, ხორციელდება. მისი მიზანია საქართველოში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების გზით. მეორე კომპაქტის მთლიანი ბიუჯეტი 140 მილიონი აშშ დოლარია.

საინჟინრო, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია 16 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა კომპაქტიდან, შემდეგი აქტივობების განსახორციელებლად:

(ა) გრანტების გაცემა პროფესიული განათლების კერძო და საჯარო პროვაიდერებისთვის, რომლის ფარგლებში დაფინანსდება:

– წინადადებები შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის ან არსებული პროგრამების განახლება-განვითარების, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ან არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით;

– წინადადებები ადამიანური რესურსის გაძლიერების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და დამსაქმებლებთან არსებული კავშირის გაღრმავების მიზნით.

(ბ) ტექნიკური და საექსპერტო დახმარების გაწევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებაში.

(გ) პროფესიული განათლების პროვაიდერებსა და ინდუსტრიას შორის არსებული წარმატებული მაგალითების მოძიება და გავრცელება.

აღნიშნული საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებას განახორციელებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული გერმანული ფირმა – PEM Consult. სატენდერო წინადადება მომზადდა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან (MCC) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

## საქართველო ბირთვული კვლევების ევროპის ცენტრის ასოცირებული წევრი გახდება

თბილისში, სამუშაო ვიზიტით, ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის (CERN) ოფიციალური დელეგაცია იმყოფებოდა. დელეგაციის წევრები განათლებისა და მეცნიერების მინისტრ **თამარ სანიკიძეს** შეხვდნენ. შეხვედრაზე, ბევრ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, აქტიურად განიხილებოდა ცერნში (CERN) საქართველოს ასოცირებული წევრობის საკითხი. დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები, რომლის ფარგლებშიც, საქართველო ოფიციალურ განაცხადს წარადგენს ცერნში (CERN) და დაიწყება პროცესი. პარლელურად, ცერნის (CERN) არაერთი წარმომადგენელი ჩამოვა საქართველოში და საქართველოდანაც ბევრი მეცნიერი ეწვევა ბირთვული კვლევის ევროპულ ცენტრს.

მინისტრთან შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ახალი ერთობლივი პროექტების შესაძლო განხორციელებაზე ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ განიხილება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, ატლასის დეტექტორის კვანძების დამზადების შესაძლებლობა და ცერნში (CERN) მათი ინსტალაცია, ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, შემოთავაზებულია გრიდის (კომპიუტერული ქსელის) კლასტერის განვითარება, ქართველ სტუდენტთა და დოქტორანტთა სტაჟირება ბირთვული კვლევების ევროპის ცენტრში, აუტისტი ბავშვებისთვის ადრონიდული თერაპიის პროექტების შემუშავება და სხვ.

ცერნის დელეგაციის ვიზიტს წინ უძღოდა თამარ სანიკიძის შეხვედრები ცერნში. მაშინ მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების კონკრეტული მიმართულებები განიხილეს. ამ კონტექსტში, განხილულ იქნა საქართველოს ცერნში ასოცირებული წევრის სტატუსით გაწევრიანების პერსპექტივებიც.

ცერნის ასოცირებული წევრის სტატუსი საქართველოს საშუალებას მისცემს არა მარტო ჩაერთოს ორგანიზაციის სამეცნიერო პროგრამებში, არამედ ქვეყანა უფლებამოსილი გახადოს მონაწილეობა მიიღოს სატრენინგო და საგანმანათლებლო პროგრამებში, ასოცირებული წევრი სახელმწიფოს კომპანიები უფლებამოსილნი არიან, მონაწილეობა მიიღონ კონკურსებში და გახდნენ ცერნის კონტრაქტორები.

## პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია

ყველა დაინტერესებულ პირს მიეცა შესაძლებლობა, სახელმწიფო დაფინანსებით, დაეუფლოს მისთვის სასურველ პროფესიას ტურიზმის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მომსახურებისა და სხვა მიმართულებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** თბილისის საინფორმაციო ცენტრს ეწვია და რეგისტრაციის მიმდინარეობის პროცესს გაეცნო. რეგისტრაცია 20 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა.

რეგისტრაციაში ჩართული იყო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული 19 პროფესიული და 14 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც პროფესიული პროგრამები ხორციელდება. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა განსაზღვრულია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ პროგრამის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს მინიმუმ 6 თვე და მაქსიმუმ 2,5 წელი.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელი იყო მხოლოდ პირადობის მოწმობით, საქართველოს მასშტაბით არსებულ თბილისის, ქუთაისისა და ქობულეთის საინფორმაციო ცენტრებში, ასევე 70 რესურსცენტრსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ 33 დაწესებულებაში. რეგისტრატორები აპლიკანტებს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული პროფესიული პროგრამების შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების დამწყებმა აპლიკანტმა, რომელმაც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება შეარჩია, უნდა გაიაროს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული უნარების ტესტი, რომელიც ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას ემსახურება. ასევე, ტესტირების მიზანია, გამოავლინოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა უნარები და შესაძლებლობები. შესაბამისად, ტესტირების შედეგების მიხედვით ჩარიცხვის ბარიერი არ არსებობს. სახელმწიფო დაფინანსებით, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში უფასო განათლების მიღების შესაძლებლობა კი ექნებათ იმ აპლიკანტებს, რომლებიც ჩაირიცხებიან კონკურსის საფუძველზე და ტესტირებისას მინიმალური კომპეტენციის ზღვარს გადალახავენ.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებაში არსებულ კონტინგენტს, რომელთაც სურთ უკვე დაწყებული პროფესიული განათლების გაგრძელება და კონკრეტული საფეხურიდან შემდგომ საფეხურზე გადასვლა, მათ ტესტირებას თავად საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს, დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

აღნიშნული ტესტირებისა და დაფინანსების სქემა ეხება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. კერძო პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვა ხორციელდება დამოუკიდებლად, ამავე სასწავლებლების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ტესტების ნიმუშები განთავსებულია პროფესიული განათლების ვებპორტალზე (www.vet.ge) და ეროვნული გამოცდების ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge). დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას და აპლიკანტების კითხვებზე პასუხის გაცემას რეგისტრატორები უზრუნველყოფდნენ. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისათვის, ასევე, შეუძლიათ დარეკონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელ ხაზზე: 2 200 220.

ქუჩის ბავშვები



# ინიციატივა ინდივიდზე მორგებული სათანადო მომსახურებებით

**ლალი ჯელაძე**

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, ჩვენს ქვეყანაში, ფეხი მოიკიდა „ქუჩის ბავშვების“ ფენომენმა, რისი მიზეზიც ქვეყანაში მიმდინარე მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები იყო. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა ქუჩაში ხელგამოწვდილი ბავშვების მდგომარეობა, მეტიც, დღითი დღე მათი რიცხვი გაიზარდა და უფრო მასშტაბური, ორგანიზებული სახე მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ თვალშისაცემია თბილისის ქუჩებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში „ქუჩის ბავშვების“ მზარდი რაოდენობა, დღეისთვის არც ერთი სტრუქტურა ზუსტ მონაცემებს არ ფლობს. „მათხოვრობა“ არც ახალია და არც ვინმეს გაკვირვებას გამოიწვევს, მაგრამ პრობლემა რომ სერიოზულად დგას, ფაქტია, რაზეც პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად სახელმწიფოს ეკისრება. სამწუხაროდ, ხშირად ბავშვებს მშობლები უშვებენ ქუჩაში სამათხოვროდ. ამ შემთხვევაში, მშობელია მოძალადე, თუმცა ამის სამართლებრივად დადგენა, როგორც ჩანს, შეუძლებელია. ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მინიმუმ, ორი ფაქტორი იკვეთება – სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გულგრილობა და არასრულფასოვანი ან მოუქნელი კანონმდებლობა – კანონით მათხოვრობა არ ისჯება, მათხოვრობის ფაქტის აღკვეთა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც პოლიციელმა დადასტურებულად იცის, რომ ბავშვი თავისი ნებით არ მათხოვრობს. მტკიცებულების გარეშე პოლიციელს არა აქვს უფლება, ყინვაში ქუჩაში ხელგამოწვდილ ბავშვს მოჰკიდოს ხელი და რომელიმე ცენტრში გადაიყვანოს. ამასთან ერთად, პრობლემა საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც უნდა ვეძებოთ.

რა მექანიზმები მუშაობს სახელმწიფოში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებების დასაცავად – ამ საკითხს დაეთმო გაეროს ბავშვთა ფონდის საინფორმაციო შეხვედრა ჟურნალისტებთან, რომელიც „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა.

*ყველაზე დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ინიციატივა* – პროექტი 2013 წლის აგვისტოში დაიწყო და 2014 წლის დეკემბერში დასრულდება. პროექტს, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, ახორციელებს. ინიციატივაში, ასევე, ჩართულია განათლებისა და მეცნიერების, იუსტიციის, შსს და ფინანსთა სამინისტროები, თბილისის მერია, არასამთავრობო ორგანიზაციები – „ვორლდ ვიჟენი“, „კარიტას საქართველო“ და „ბავშვი და გარემო“.

*„ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნა სახელმწიფო მექანიზმები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დასახმარებლად. ადრე არ არსებობდა ამგვარი მექანიზმი და ამ მხრივ, მთავრობის ძალისხმევა მეტად დასაფასებელია,* – მიიჩნევს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში **საშა გრაუმანი**, – *ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ბავშვებს ქუჩისკენ უბიძგებს, არის სიღარიბე. საქართველოში 50 ათასი ბავშვი უკიდურესი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და მოიხმარს დღეში 2 ლარს. ოჯახური ძალადობა, ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოხმარება და დისფუნქციური ოჯახებიც უწყობს ხელს ბავშვების ქუჩაში გასვლას. სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს სიღარიბის საკითხი და გაძლიერდეს არსებული სოციალური დაცვის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სოციალურად დაუცველი ბავშვების და ოჯახების საჭიროებები“.*

პროექტის მენეჯერი, ევროკავშირის წარმომადგენელი **ნიკა ყოჩიაშვილი**: *„ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ კონკრეტული პროექტის დასრულების შემდეგ სახელმწიფო იღებს თავის თავზე სისტემის დაფინანსებას. სასიამოვნოა, რომ ჩვენს შეხვედრას შსს-ს წარმომადგენელი ესწრება, მაგრამ მხოლოდ ერთი სამინისტრო (ამ შემთხვევაში – შსს) ვერაფერს გახდება, თუ არ იქნა სხვადასხვა სამინისტროებს შორის კოორდინირებული მუშაობა. თუმცა, საბოლოო შედეგის მისაღწევად მედიის როლიც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აუცილებელი და საჭიროა საზოგადოების ინფორმირებულობა.*

*რაც შეეხება ევროკავშირის როლს, ეს ყველამ იცით და ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, უბრალოდ შეგახსენებთ, რომ 10 წელზე მეტია, რაც ევროკავშირი აქტიურადაა ჩართული ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის განხორციელებაში. მე თავად ვარ მომსწრე იმ პროგრამებისა და ნაბიჯების, რომლებიც სახელმწიფომ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გადადგეს. ამისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გაეროს ბავშვთა ფონდს, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სხვა მხარეებს. ისიც კარგად მესმის, რომ საუბარია ხანგრძლივ პროცესზე, რადგან საქმე გვაქვს მოწყვლადი ჯგუფის ბავშვებთან – ძალიან მგრძნობიარე თემატიკაა. იმისათვის, რომ ჩვენი თითოეული ნაბიჯი და მთლიანად სისტემა ორიენტირებული იყოს ბავშვზე და მისი ინტერესების დაცვაზე, საჭიროა დიდი გამოცდილება, ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამას კი, აუცილებლად, მზა სისტემა უნდა დახვდეს.“*

პროექტი ორწლიანია და პირველ წელს ინიციატივა თბილისში განხორციელდა, მეორე წელს ბათუმსა და ქუთაისს მოიცავს. 2011 წლის ნოემბერში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით, შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი, რომელიც ყველაზე დაუცველი ბავშვების მიმართ არსებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას ხელმძღვანელობს. კომიტეტში შემავალ თითოეულ უწყებას კონკრეტული ფუნქცია დაეკისრა.

**– შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სოციალური მომსახურების სააგენტო** კოორდინირებს და მეთვალყურეობას უწევს ყველაზე დაუცველი ბავშვების დასახმარებლად მიმართულ საქმიანობას; ხელმძღვანელობს სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებას; ბავშვზე ზრუნვის სამმართველოში ასაქმებს მობილური ჯგუფების სოციალურ მუშაკებს, სინქრონიზებას უწევს მობილური ჯგუფებისა და სხვა სახელმწიფო სოციალური მუშაკების საქმიანობას; გამოყოფს ფინანსურ რესურსებს პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და უზრუნველყოფს ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას;

**– იუსტიციის სამინისტრო** აწესრიგებს ბავშვთა რეგისტრაციიის საკითხებს – სრული დოკუმენტაციის მომზადებამდე დროებითი პირადი ნომრების მინიჭებას, რათა ბავშვებს მიეცეთ შესაძლებლობა, ოფიციალურად ისარგებლონ სახელმწიფო მომსახურებით; აღნიშნულ ინიციატივას აკავშირებს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და ტრეფიკინგის საწინააღმდეგო სტრატეგიასთან;

**– შინაგან საქმეთა სამინისტრო** ამყარებს მჭიდრო თანამშრომლობას მობილურ ჯგუფებსა და პოლიციას შორის; უზრუნველყოფს, რომ პოლიციელებმა იცოდნენ, როგორ იმუშაონ ყველაზე დაუცველ და კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან;

**– ფინანსთა სამინისტროს** სტაბილური სახელმწიფო დაფინანსების პასუხისმგებლობა აკისრია;

**– განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** უზრუნველყოფს ბავშვების ჩარიცხვას ოფიციალურ საგანმანათლებლო სისტემაში; მუშაობს საგანგებო საგანმანათლებლო საჭიროებათა მქონე ბავშვებთან, აფასებს მათ უნარებს, ამზადებს მათთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და მონიტორინგს უწევს ბავშვების მიღწევებს სკოლაში;

**– თბილისის მერია** გამოყოფს შენობებს მომსახურების მიმწოდებელთათვის და უზრუნველყოფს, რომ დაუცველ ბავშვებს, თბილისში, ხელი მიუწვდებოდეთ ყველა იმ მომსახურებაზე, რომლის მიღების უფლებაც მათ აქვთ;

– პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები – **„ვორლდ ვიჟენ“**, **„კარიტას საქართველო“** და **„ბავშვი და გარემო“** – ბავშვებს სთავაზობენ მაღალი ხარისხის მომსახურებას, როგორიცაა: მობილური ჯგუფები, რომლებიც ბავშვებთან უშუალოდ ქუჩაში მუშაობენ; ბავშვზე ზრუნვის დღის ცენტრები/კრიზისული ჩარევის ცენტრები და 24-საათიანი თავშესაფრები.

როგორ ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შესახებ, რომლის ფარგლებშიც ხარისხიანი მომსახურება უნდა გაეწიოს თბილისში 500, ხოლო დასავლეთ საქართველოში 150 ბავშვს, ამის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა **ეკა ჯავახიშვილმა** ისაუბრა: *„პროექტის საჭიროებაზე აღარ ვისაუბრებ, ამის შესახებ ბევრი ითქვა და ისედაც ყველაფერი ნათლად ჩანს, როცა ქუჩაში გავივლით. მოგეხსენებათ, 2012 წლიდან, ევროკავშირის დაფინანსებით, ხორციელდება აღნიშნული პროექტი, რომლის ორი ძირითადი მიმართულებაა: პირველი – შეიქმნას შესაბამისი მიზნობრივი მომსახურებები ამ ბავშვებისათვის, რათა მოხდეს მათი რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია, ქუჩიდან მოცილება და მეორე, ძირითადი – სახელმწიფო სისტემის შემუშავება, ერთიანი მიდგომის შექმნა იმისთვის, რომ ამ ბავშვებზე ზრუნვა გაერთიანდეს სოციალური ზრუნვისა და ბავშვზე ზრუნვის ფართო პროგრამაში“.*

მისივე განცხადებით, ინიციატივის ფარგლებში, დაარსდა მომსახურებები და მექანიზმები, რომლებიც გამოავლენენ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს, რომლებსაც შესთავაზებენ დახმარებასა და დაცვას, მათთან და მათ ოჯახებთან იმუშავებენ იმ მიზნით, რომ მოხდეს ამ ბავშვების ჩართვა არსებულ სოციალურ და ბავშვთა დაცვის მომსახურებებში. პროექტის ფარგლებში, 2013 წლის აგვისტოდან, თბილისში ფუნქციონირებს 3 მობილური ჯგუფი (2014 წლის ბოლოს ქუთაისშიც ამოქმედდება 1 მობილური ჯგუფი). მობილურ ჯგუფში შედიან: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, თანატოლ-განმანათლებელი და ადმინისტრაციული მუშაკი/მძღოლი. ჯგუფი პირველ კონტაქტს ბავშვებთან ქუჩაში ამყარებს. მათ მიერ ხდება ქუჩაში მცხოვრები თითოეული ბავშვის შეფასება. ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მობილური ჯგუფების მიერ ამ ბავშვების ნდობის მოპოვებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. შეფასების შედეგად კი, განისაზღვრება შესაბამისი მომსახურებები, რომელიც ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებებს ითვალისწინებს.

2014 წლის მაისიდან, თბილისში, უკვე ამუ-



„ “

## ქუჩის ბავშვები

შავდა დღის/კრიზისული ინტერვენციის ორი ცენტრი, რომელიც ღია ტიპის მომსახურებაა. ცენტრი ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს საშუალებას აძლევს, დაკმაყოფილდეს მათი ძირითადი მოთხოვნები – საკვებზე, ჰიგიენაზე და სხვ. დღის/კრიზისული ინტერვენციის ცენტრები ბავშვებს ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების შემუშავებას სთავაზობს, ასევე, არაფორმალური განათლების პროგრამას, რომლის მიზანია ბავშვების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია; საცხოვრებლის გარეშე დარჩენილ ბავშვებს ცენტრი ღამის თავშესაფარსაც სთავაზობს; 2014 წლის ბოლომდე კიდევ გაიხსნება ერთი დღის/კრიზისული ცენტრი თბილისში და ერთი – ქუთაისში.

პროექტის ფარგლებში, ერთი ტრანზიტული ცენტრი ფუნქციონირებს თბილისში და ერთი – რუსთავში. ტრანზიტული ცენტრი, მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში, 24-საათიან მომსახურებას გაუწევს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს. ცენტრი ინდივიდუალურ მიდგომას სთავაზობს მათ და ამზადებს უფრო ხანგრძლივი დროით მინდობით აღზრდაში ან მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლში განთავსებისთვის. გარკვეულ შემთხვევებში, როცა ბიოლოგიურ ოჯახს შეუძლია ბავშვი უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოს, რეინტეგრაციის პროცესის აქტიური ხელშეწყობა ხდება. ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობა. სპეციალისტები კონსულტაციას უწევენ ოჯახებს და სთავაზობენ ყველანაირ დახმარებას, რომლის მიღებაც ქვეყანაში შეიძლება. ბუნებრივია, პრიორიტეტი ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას ენიჭება.

პროგრამის ფარგლებში, მომზადდნენ: მობილური ჯგუფის წევრები (15), დღის/კრიზისული და ტრანზიტული ინტერვენციის ცენტრების ადმინისტრაციული მუშაკები და აღმზრდელები, დაახლოებით 150; ასევე, ტრენინგები ჩაუტარდა, თბილისის მასშტაბით, 100 პოლიციელს და იგეგმება მათი გადამზადება ქუთაისშიც.

სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის **გაიოზ თალაკვაძის** განცხადებით: *„ამ ბავშვებისთვის, მიმდინარე პროექტით, ფულადი დახმარების გაწევა არ ხდება, მათთვის მხოლოდ სერვისების მიწოდებაა გათვალისწინებული. თბილისის მასშტაბით, დღესდღეობით, საკმაო რაოდენობის მობილური ჯგუფი მუშაობს, შემდგომში მათი კიდევ უფრო გაფართოება იგეგმება არა მხოლოდ თბილისში, საქართველოს სხვა დიდ ქალაქებშიც. მობილური ჯგუფები, ყოველდღიურად, ქუჩაში მოძრაობენ, ეძებენ ბავშვებს, შემდეგ ცდილობენ დაეხმარონ და მათი რესოციალიზაცია მოახდინონ. რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებებს, შსს-თან ერთად ვმუშაობთ ცვლილებების მოსამზადებლად, იქიდან გამომდინარე, თუ რა იქნება უკეთესი მათი ინტერესებიდან გამომდინარე.“*

საინფორმაციო შეხვედრაზე განსაკუთრებით ბევრი კითხვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ დაისვა, რადგან „ქუჩის ბავშვებთან“ დაკავშირებულ პრობლემებს ხშირად თავად კანონმდებლობა ქმნის – კანონით მხოლოდ მაშინ შეიძლება მათხოვრობის ფაქტის აღკვეთა, როდესაც პოლიციელმა დადასტურებულად იცის, რომ ბავშვი თავისი ნებით არ მათხოვრობს. არის თუ არა ქართული კანონმდებლობა სრულფასოვანი, გამოავლინოს ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევები და, საერთოდ, როგორ არეგულირებს კანონი მათხოვარი ბავშვების პრობლემას? პროექტის ფარგლებში, რა როლი აკისრია პოლიციას?

**მაკა ფერაძე**, პროექტის მართვის სამმართველოს ხელმძღვანელი, შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი: *„ჩვენი სამინისტრო თავიდანვე ჩართული იყო ამ პროექტში, მეტიც, ის ხელს უწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას. სამინისტროს წარმომადგენლები არ არიან ჩართული მობილურ ჯგუფებში, რადგან პოლიციელის გამოჩენა მოწყვლად ჯგუფში იწვევდა შიშს, თუმცა, მიუხედავად ამისა, შსს-ს შესაბამისი თანამშრომლები მონაწილეობენ სხვა სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა. ისინი მუშაობენ როგორც საკანონმდებლო ცვლილებებზე, ისე იდენტიფიცირების სამუშაო ფორმატის შექმნაზე და ა.შ.*

*ხშირად მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ მოწყალების თხოვნა – მათხოვრობა – დღევანდელი საკანონმდებლო რეგულაციით დასჯადი ქმედება არ არის, თავისთავად, სამართალდარღვევას არ წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, სამართალდამცავს მათხოვრობაზე რეაგირების უფლება არა აქვს, თუ, რა თქმა უნდა, ეს ფაქტი არ შეიცავს დანაშაულებრივ ნიშნებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირაა მითითებული. კერძოდ, ეს არის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა და მათხოვრობაზე დაყოლიება. თუ ადგილი აქვს დანაშაულს, მაშინ, ცხადია, სამართალდამცავები შესაბამის რეაგირებას მოახდენენ. არსებობს სპეციალური დანაყოფი, რომელიც დანაშაულის ნიშნების იდენტიფიცირებაზე მუშაობს. მუდმივად გადიან ტრენინგებს ტრეფიკინგის დანაშაულის ეფექტურ გამოძიებაზე, კონკრეტულად, ბავშვების შრომითი ექსპლუატაციის შესახებ. პარალელურად, მიმდინარეობს ტრენინგები ბავშვების ოჯახებში ძალადობის სამართლებრივ მექანიზმებზე, მის ადრეულ იდენტიფიცირებასა და გამოვლენაზე, ცხადია, პრევენციაზე. ამ მიმართულებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ფართოდ თანამშრომლობს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. სამართალდამცავების ტრენინგები დღესაც მიმდინარეობს. ამ მიმართულებით საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯები გვაქვს. თუმცა, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში მათხოვრობას არა აქვს ორგანიზებული სახე. შესაბამისად, ბოლო ორი წლის განმავლობაში, დაწყებული გამოძიება ორგანიზებული დანაშაულის ან ტრეფიკინგის საქმეზე არ გვქონია. ძალადობის რამდენიმე ფაქტზე მიმდინარეობდა გამოძიება, თუმცა, მალევე შეწყდა, რადგან მოძალადე პირები სისხლის სამართლის ასაკს მიუღწევლები იყვნენ (14 წლამდე პირები). დღეს ასეთი სურათია. ჩვენი სამინისტრო აცნობიერებს, რომ ეს ძალიან მცირედია, რაც ამ მიმართულებით განხორციელდა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ერთი უწყება, როგორი ძლიერი და მასშტაბურიც არ უნდა იყოს, ასეთ მწვავე პრობლემას მარტო ვერ მოერევა. იმედი გვაქვს, მთავრობის მიერ დამტკიცებული, 2014-2015 წლების, „ადამიანის უფლებების დაცვის“ სამოქმედო გეგმა, რომელშიც კონკრეტული თავი მიეძღვნა ამ პრობლემას, საშუალებას მოგვცემს, მის დასაძლევად გარკვეული ნაბიჯები უფრო კოორდინირებულად და სტრუქტურირებულად გადავდგათ.“*

სხვადასხვა კვლევის თანახმად, საქართველოში ქუჩაში, დაახლოებით, 1500 ბავშვი ცხოვრობს და მუშაობს, ზუსტ სტატისტიკას ვერც ერთი უწყება ვერ ასახელებს. ბუნებრივია, ჩნდება ინტერესი, რეალურად, ქვეყანაში რამდენი ბავშვია ყველაზე დაუცველი. ამის შესახებ გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური მომსახურების პროგრამის ხელმძღვანელმა, **ქეთევან მელიქაძემ** აღნიშნა, რომ: *„უპირველესი ამოცანაა შევქმნათ სისტემა, რომელიც მომართული იქნება იმაზე, რომ მიწვდეს ყველა ბავშვს ქუჩაში და დაუბრუნოს ნორმალურ ცხოვრებას. ამ პროცესში სტატისტიკა ნელ-ნელა იქმნება. პირველ რიგში, უნდა შევქმნათ მოქნილი მონაცემთა ბაზა, რომელიც ბავშვზე მაქსიმალურ ინფორმაციას დაიტევს. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ* **ა** *ბავშვი შევადაროთ* **ბ** *ბავშვს, რომელიც შეიძლება სხვადასხვა სერვისებში მყოფი ერთი და იგივე ბავშვი იყოს. დროთა განმავლობაში, ეს სტატისტიკა შეიქმნება. ჩვენ მიახლოებით ვიცით, რა კატეგორიის ბავშვები არსებობენ ქუჩაში და მათთან მუშაობის პრინციპი – ინდივიდუალური მიდგომა, რომლითაც გვინდა გამოვავლინოთ ყველა ბავშვის კონკრეტული საჭიროება და მას მივუსადაგოთ ის მომსახურებები, რომლებიც გარშემო არსებობს. სტატისტიკის, ზუსტი რიცხვების არქონა, ამ შემთხვევაში, ხელისშემშლელი არ არის. ეს პროცესია, რომელიც დატესტვის რეჟიმში დაიწყო თბილისიდან და გამოავლენს, რამდენად ეფექტურად ხდება ასეთი მომსახურებით ბავშვების გამოვლენა და უფრო მდგრად საცხოვრებელ ადგილებში გადაყვანა. შემდეგ ეს პროცესი გადავა სხვა დიდ ქალაქებში, სადაც მსგავსი პრობლემა არსებობს. გეტყვით იმასაც, რომ ზოგადად, მთელ სამყაროში და, მათ შორის, ჩვენთანაც, რესურსები შეზღუდულია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ეს რესურსი დაგვეხარჯა სისტემის შექმნაზე და არა ზუსტი სტატისტიკის გამოვლენაზე, რაც ძალიან ძვირადღირებული პროცესია, რადგან ქუჩის ბავშვები ძალიან მობილურები არიან. აქედან გამომდინარე, რესურსულად, სხვაგვარი კვლევაა საჭირო – უნდა გვყავდეს ბევრი მობილური ჯგუფი, რომელიც ერთდროულად გავა ქუჩაში, თან, რაც მთავარია, ისინი ისე უნდა იყვნენ მომზადებულები, რომ სწრაფად მოიპოვონ ბავშვების ნდობა. სამეთვალყურეო და სამეურვეო საბჭომ, რომელიც სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა, სწორედ აქედან გამომდინარე მიიღო გადაწყვეტილება, რომ რესურსი სისტემის შექმნაზე დავხარჯოთ და არა ზუსტ სტატისტიკაზე. თუმცა, რასაკვირველია, ამ სისტემის ამუშავების ნაწილი სტატისტიკის შექმნაცაა.“*



ინიციატივის ფარგლებში, კიდევ ერთი საინტერესო სეგმენტი ამუშავდება, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს, ვისაც არასოდეს უვლია სკოლაში ან მიატოვა სწავლა, „განათლების მეორე შანსს“ მისცემს. ამ პროგრამის უზრუნველსაყოფად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმდინარეობს მუშაობა, რათა ასეთმა ბავშვებმა იარონ სკოლაში და დაეწიონ სასწავლო პროცესს. ქეთევან მელიქაძის განმარტებით: *„განათლების მეორე შანსი“ არის ინიციატივა, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უძღვება და მხარს უჭერს გაეროს ბავშვთა ფონდი. მისი მიზანია, სხვადასხვა მიზეზით, განათლების მიღმა აღმოჩენილი ბავშვი დავუბრუნოთ სკოლის მერხს და მივცეთ საშუალება, თანატოლებთან ერთად, გააგრძელოს ფორმალური სწავლება. სხვა ბავშვებთან ერთად, ფოკუსჯგუფში სწორედ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები არიან, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჯგუფად მოიაზრებიან ამ პროგრამის ფარგლებში. საუბარია იმაზე, რომ ჯერჯერობით იმ მომსახურების დონეზე, რომელიც მათთვის ვითარდება და შემდგომ – სკოლის დონეზე, არსებობდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც მეტ-ნაკლებად დააწევს სასკოლო პროცესს და შესაძლოა წარმატებულიც კი გახადოს. საუბარი იმაზე არ არის, რომ მათ ზუსტად ისევე ისწავლონ, როგორც სკოლაში მყოფმა დანარჩენმა ბავშვებმა, არამედ იმაზე, რომ ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში, თანატოლებთან ერთად, ბავშვი იყოს წარმატებული იმ მიზნების მიღწევაში, რაც განათლების სისტემამ მისთვის დასახა, რომ შეიძინოს დამატებითი ცოდნა და საბოლოოდ – მიიღოს ატესტატი.*

*მოგეხსენებათ, რომ მოწყვლად ბავშვებთან მუშაობის ფაზა დაგვიანებით დაწყებული ფაზაა. აქამდე ფიქრის, განსჯის, სისტემისა და სერვისების შექმნის ამოცანა იდგა. მობილური სამსახურები შარშან ზაფხულში ამოქმედდა, დღის ცენტრები – წელს მაისში, 24-საათიანი მომსახურება – ივნისში. ბევრი დრო არ არის გასული იმისთვის, რომ ჩვენ ასეთი რთული ამოცანების ამოხსნა მოვახერხოთ. თუმცა, რამდენიმე შემთხვევა მაინც გვაქვს. რამდენიმე სკოლას მოწვეტილი ქუჩის ბავშვისთვის უკვე ვაწარმოებთ სკოლასთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მოლაპრაკებას, რომ ისინი სკოლაში ჩავნერგოთ – დავაბრუნოთ. თუმცა, ისეთი ფაქტები, რომ ბავშვი ქუჩას მოვწყვიტეთ, სკოლაში დავაბრუნეთ, მყარად ზის მერხთან და მეგობრებიც შეიძინა – ჯერ არ გვქონია. იმედი მაქვს, სისტემა ისეა აწყობილი, რომ ასეთ წარმატებასთანაც მივალთ.“*

მიმდინარე პროექტის ფარგლებში, თბილისში, მომსახურებით უკვე ისარგებლა 350-მა ბავშვმა, დღის/კრიზისულ ინტერვენციის ცენტრებით – 60-მა, ტრანზიტული ცენტრებით – 20-მა, ხოლო გადაუდებელი მინდობით აღზრდით – 7-მა. მათი რიცხვი, პროექტით გათვალისწინებული მონაცემებით, თბილისში 500-მდე გაიზრდება, დასავლეთ საქართველოში კი – 150-მდე. **ქუჩას განრიდებული ბავშვები, გარდამავალ პერიოდში, რეაბილიტაციას გაივლიან, მათთვის ხელმისაწვდომი გახდება განათლება, შემდეგ ისინი მოხვდებიან უსაფრთხო და მზრუნველ ოჯახებში ან ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო მომსახურებებში, სადაც დაცული იქნება მათი განათლების, ჯანმრთელობისა და დაცვის უფლებები** – ეს ამ ინიციატივის მთავარი მიზანია, იმასთან ერთად, რომ შეიქმნას ქმედითი, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, თემზე დაფუძნებული მექანიზმი ყველაზე დაუცველი ბავშვების ჰარმონიული განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციისათვის. თუმცა, პრობლემა იმდენად მასშტაბური და რთულია, აქ აუცილებლად საზოგადოების როლსაც უნდა შევეხოთ, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი შეიძლება გახდეს ყველაზე დაუცველი ბავშვის ცხოვრებაში. იუნისეფის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი **მაია ქურციკიძე** საზოგადოებაში არსებულ სტიგმაზე საუბრობს და მოუწოდებს თითოეულ ადამიანს, რომ დამოკიდებულების შეცვლით დავამსხვრიოთ ეს სტერეოტიპი: *„არ შემიძლია არ გამოვეხმაურო საზოგადოების დამოკიდებულების თემას ამ ბავშვებთან მიმართებაში, რამდენადაც საზოგადოებაში არის სტიგმა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მიმართ. სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ დაიმსხვრეს სტერეოტიპი, რამდენადაც ეს ბავშვები თავს საზოგადოებისაგან გარიყულებად გრძნობენ. დამეთანხმებიან სოციალური მუშაკები, რომლებსაც მუდმივი კონტაქტი აქვთ მათთან. მთავარია, მათ გავუწოდოთ არა ფული, არამედ ჩვენი ხელი და ვაჩვენოთ სითბო, ასეთ შემთხვევაში, მათგანაც აუცილებლად იმავეს მივიღებთ.“*

აქტუალური თემა

# შვილად აყვანის პროცედურებში ცვლილებები იგეგმება



**ლალი ჯელაძე**

საქართველოში შვილად აყვანის გახანგრძლივებული პროცედურები მსურველებისთვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს. მათი რიცხვი, დღევანდელი სტატისტიკური მონაცემებით, 3000-ზე მეტია, ხოლო გასაშვილებელი ბავშვების რაოდენობა – 60, თუმცა, ოფიციალური სტატისტიკა მუდმივად იცვლება. სურვილიდან რეალობამდე ლოდინის პერიოდი, ხშირ შემთხვევაში, 5 წელიც კი გრძელდება. ხანგრძლივ პროცედურას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **დავით სეერგეენკო** სწორედ არსებული სტატისტიკით ხსნის: *„სირთულე იმდენად იმაში არ არის, რომ რეგულაციაა გართულებული, არამედ იმაში, რომ ასეთი სურათი გვაქვს – საბედნიეროდ არ არის ბევრი დედა, რომელიც მიატოვებდა შვილს და ჩასვამდა იმ ჯგუფში, რომელიც გაშვილებისთვისაა განკუთვნილი“.*

ქართული კანონმდებლობით, გასაშვილებელთა სიაში ხვდება ის ბავშვი, რომელიც ობოლია ან მშობლები სასამართლოს მიერ არიან აღიარებულნი ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებიან; ან იმ შემთხვევაში თუ ყველა კანონიერმა წარმომადგენელმა განაცხადა ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა; ან თუ ბავშვი ნაპოვნია და აღიარებულია მიტოვებულად. გაშვილებისა და შვილად აყვანის პროცედურის წარმართვა მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მეშვეობითაა შესაძლებელი, სხვა ნებისმიერი გარიგება კანონით ისჯება.

იმისთვის, რომ წყვილმა ან მშვილებელმა პირმა ბავშვის შვილად აყვანა შეძლოს, სოციალური მომსახურების სააგენტოში ოფიციალურად უნდა დარეგისტრირდეს, ამის შემდეგ კი სოციალური კვლევა იწყება.

**ეკატერინე სანებლიძე**, მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი: *„ჩვენი პრიორიტეტი არ არის ბავშვების ბიოლოგიური ოჯახებიდან გამოყვანა, პრიორიტეტი მათი ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებაა. აქედან გამომდინარე, მცირეა იმ ბავშვების რიცხვი, რომელთაც სტატუსს ვანიჭებთ. დღეს 3000-მდე მშვილებელია რეესტრში დაფიქსირებული. 3000 ბავშვს რომ გასაშვილებელი სტატუსი ჰქონდეს, ჩვენნაირი ქვეყნისთვის ეს ძალიან ცუდი იქნებოდა.*

*ნეგატიური კრიტერიუმები არსებობს და ეს მოყვანილია კანონმდებლობაში. მაგალითად, გასათვალისწინებელია ჯანმრთელობის მდგომარეობა – თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა არ არის სასურველი – ნარკომანია, ალკოჰოლიზმი ან ონკოლოგიური დაავადებები, რომლებიც ხელს შეუშლის ბავშვის აღზრდაში ადამიანს; ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციასაც – ამას, რა თქმა უნდა, სოციალური მუშაკი აფასებს.“*

აღნიშნული პროცედურა საქართველოში „შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ“ კანონით რეგულირდება. 2010 წლის რედაქციაში შესაძლოა მალე ცვლილება შევიდეს – დაზუსტდეს შვილად აყვანის ზედა ზღვარი და განისაზღვროს სხვა მნიშვნელოვანი დეტალებიც.

50 წელს გადაცილებულ პირებს ბავშვის აყვანის შესაძლებლობა აღარ ექნებათ. თუმცა, გამონაკლისი დაიშვება დაქორწინებული პოტენციური მშვილებლების შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი 50 წელს გადაცილებულია, ხოლო მეორეს კი ჯერ არ მიუღწევია 50 წლამდე.

მეორე ცვლილება, სავარაუდოდ, პირდაპირი წესით გაშვილების პროცედურებში შევა. მშობელს, რომელიც შვილზე უარს ამბობს, უფლება აღარ ექნება აირჩიოს მშვილებელი პირი ან ოჯახი.

კანონპროექტი შეთავსების სისტემის დანერგვასაც ითვალისწინებს. შეთავსება მიზნად ისახავს ბავშვისათვის საუკეთესო მშობლების შერჩევას, რომლებიც ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით, მისივე ინტერესების შესაბამისად იმოქმედებენ.

კანონპროექტზე მუშაობა 2012 წელს დაიწყო. სამუშაო ჯგუფში პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, იუნისეფის ექსპერტები, სახელმწიფო სააგენტოები და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები არიან ჩართულები.

*„შვილად აყვანასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში ამ სისტემის არსებული რეგულაციები ხშირად ბუნდოვანია და წესების განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამუშაო ჯგუფში ჩართული სხვა დაწესებულებების მოსაზრებით, არსებობს საკანონმდებლო ბაზის დეტალიზაციის მკაფიო საჭიროება, რაც გულისხმობს როგორც უფრო კონკრეტული პროცედურული და მატერიალურ-სამართლებრივი სტანდარტების შექმნას, ასევე კანონში არსებული სამართლებრივი ხარვეზების შევსებასაც,“* – ამბობს „იუნისეფის“ საქართველოს ოფისის კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელი **მაია ქურციკიძე**.

კანონმდებლობასთან ერთად ბავშვთა უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციები პრობლემას პრაქტიკულ საქმიანობაში ხედავენ. „ევრი ჩაილდის“ დირექტორის, **ანდრო დადიანის** აზრით, პროფესიონალები, რომლებიც უნდა მოქმედებდნენ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მოიკოჭლებენ კვალიფიკაციით, სამუშაო პირობებით და, ზოგადად, ღირებულებებით – იმოქმედონ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების საკეთილდღეოდ. ის განმარტავს, რომ კანონპროექტის მიზანი ადგილობრივი კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება და ბავშვის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება უნდა იყოს. *„ყველაზე მეტი საჭიროებაა გაუმჯობესდეს სოციალური სამსახურების მუშაობა, რათა თუნდაც ის კანონი, რომელიც არსებობს, ეფექტურად იქნეს გატარებული ცხოვრებაში“.*



ანდრო დადიანი დისკრიმინაციად აფასებს პოტენციური მშვილებლის ასაკობრივ შეზღუდვასაც: *„შესაძლოა, 50 წელს გადაცილებულ პირებზე ჩვილი ბავშვი არ მიშვილდეს. ამ შემთხვევაში არგუმენტი ისაა, რომ როდესაც ბავშვი წამოიზრდება, მშობლები უკვე მოხუცებულები იქნებიან. მაგრამ არ მესმის, რატომ უნდა აეკრძალოთ ამ ადამიანებს, მაგალითად, შედარებით მოზრდილი ბავშვების აყვანა. წლების განმავლობაში ოჯახები რიგში დგანან და ბავშვის აყვანას ელოდებიან, ამიტომ შესაძლოა კანონპროექტში ჩაწერილი ასაკობრივი შეზღუდვა ამ რიგის გაცხრილვის ერთ-ერთი გზაც იყოს”.*

კანონპროექტით გათვალისწინებულ ამ ცვლილებას განსხვავებულად ხსნის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **დიმიტრი ხუნდაძე**: *„არასწორი ინტერპრეტაციაა, რომ 50 წელს გადაცილებულ პირებს ბავშვის აყვანის შესაძლებლობა არ ექნებათ. საუბარია იმაზე, რომ პოტენციურ მშვილებელსა და ბავშვს შორის ასაკობრივი განსხვავება მაქსიმუმ 50 წელი უნდა იყოს. ანუ 55 წლის პირი ვერ იშვილებს, მაგალითად, 4 წლის ბავშვს“.*

კანონპროექტში განისაზღვრება შვილად აყვანის მსურველთა რეგისტრაციის საკითხიც: *„ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში მშვილებელთა დარეგისტრირება გაიოლებულია, რაც რეალურად მშვილებელსა და ბავშვის რაოდენობას შორის დიდ დისბალანსს ქმნის“* – აღნიშნა დიმიტრი ხუნდაძემ.

ცვლილებებია დაგეგმილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შვილად აყვანის პირობებშიც. დღევანდელი მონაცემებით, შშმ ბავშვთა შვილად აყვანის პრაქტიკულად არც ერთი შემთხვევა არ არსებობს. დისკრიმინაციული მიდგომის აღმოსაფხვრელად კი, კომიტეტისა და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ინიციატივით, მშვილებელი ოჯახებისთვის სამინისტრომ უნდა დაამკვიდროს გარკვეული შეღავათები, რათა ქვეყანაში შშმ ბავშვთა შვილად აყვანის პრაქტიკა დაინერგოს.

რაც შეეხება მინდობით აღზრდის ნაწილს, მაია ქურციკიძის თქმით, საკითხი ჯერ კიდევ დასამუშავებელია, თუმცა საყურადღებო თემებია: მინდობით აღმზრდელთა აუცილებელი ტრენინგი ბავშვის ოჯახში განთავსებამდე; დამატებითი მხარდაჭერის მომსახურების აუცილებლობა სპეციალიზებული მინდობით აღმზრდელებისათვის, რომლებიც ზრუნავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე; 3 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის არმქონე, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის მინდობით აღმზრდელთა ანაზღაურება სხვა შშმ ბავშვების ანაზღაურების ანალოგიურად.

ასევე იგეგმება პოტენციური მშვილებლისთვის მოსამზადებელი კურსების ჩატარებაც. ქალბატონი მაიას განმარტებით, სხვა ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი კურსების არსებობა, სხვადასხვა მიზეზის გამო, სასარგებლოა: *„გარდა იმისა, რომ მშვილებლები ბავშვის აღზრდის პროცესში წარმოქმნილი შესაძლო სირთულეების შესახებ ინფორმირებულები უნდა იყვნენ, მოსამზადებელი კურსი მშვილებლებს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ, მზად არიან თუ არა, შვილად აიყვანონ ბავშვი“.*

ახლა მოქმედი კანონის ავტორი და დამატებითი რეგულაციების ინიციატორი **გიგი წერეთელი** აცხადებს, რომ მათ მიერ 2007 წელს შემოღებული კანონით ბავშვებით ვაჭრობასა და კორუფციულ გარიგებებს ბოლო მოეღო. უცხოელი ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ არსებულ კანონს ცვლილებები, საერთაშორისო კანონთან გათანაბრება და ვადების დაბალანსება სჭირდება.

საქართველოს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის **საშა გრაუმანის** აზრით, რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი: *„ვერ იქნება კანონში განსაზღვრული დრო, თუ ბავშვი გარკვეულ ვადაში არ მოიკითხა მშობელმა, გაშვილდეს. ეს ვერ მოხერხდება, რადგან თითოეული საქმე ინდივიდუალურია და ასევე უნდა განიხილებოდეს. მაგრამ სტატუსის მინიჭება უფრო მოხერხებული უნდა იყოს. ასევე ხელი უნდა შევუწყოთ საქართველოში ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების გაშვილებას – მშობლები უნდა წახალისდნენ, მათთვის სპეციფიკური დაზღვევა და დღის ცენტრები უნდა არსებობდეს“.*

*„არსებული კანონმდებლობა ბევრად უფრო ლიბერალურია, ვიდრე უმეტესობა ქვეყნების* – აცხადებს დავით სერგეენკო, – *მაგრამ გარკვეულად მოუქნელია და სწორედ ამისთვის საჭიროებს რეფორმას, რათა გავხადოთ უფრო მოქნილი, თუმცა უფრო მეტად ვეღარ გამარტივდება“.*

აღნიშნული კანონპროექტის განხილვა პარლამენტში საშემოდგომო სესიაზეა დაგეგმილი. კონკრეტულად რა ცვლილებები შევა კანონში, სწორედ ამის შემდგომ გახდება ცნობილი. თუმცა, მთავარი რეგულაციების გამკაცრება ან გამარტივება არა მარტო ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების სრულად გათვალისწინებაა, არამედ მათთვის საუკეთესო მომავლის შექმნაც.

თვალსაზრისი

# სტანდარტიზებული ტესტირება – უცოდინართა და სკოლადაუმთავრებელთა გამოცდა

## გამოხმაურება განათლების ექსპერტის – თამარ ჯაყელის სტატიაზე

2013 წლის 20 ივნისს, გაზეთ „ახალ განათლებაში“ გამოქვეყნდა სტატია – „სტანდარტიზებული ტესტირება ხარისხიანი განათლების წინააღმდეგ“/ „ერთი საგანმანათლებლო ინიციატივის გამო“.

ამ საინტერესო სტატიის გამოქვეყნებიდან ერთ წელზე მეტი გავიდა. სტატიას არანაირი გამოხმაურება და შედეგი არ მოჰყოლია, დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ვიცი, რომ ჩემი გამოხმაურებაც იმავე ბედს გაიზიარებს, მაგრამ სტატია, სათაურისა და შინაარსის მიხედვით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უნდა გამოქვეყნებულიყო რუბრიკაში „საჯაროდ განხილვისათვის“ და არა „თვალსაზრისში“. ჩანს, რომ ავტორი ზედმეტად მოკრძალებულია. უპრიანი იქნებოდა შემდეგი სათაური: „სტანდარტიზებული ტესტირება – უხარისხო განათლების მიზეზი“.

ავტორი, სათაურის მინაწერით – „ერთი საგანმანათლებლო ინიციატივის გამო“, ამცრობს სტატიის შინაარსსა და მნიშვნელობას, ვფიქრობ, უნდა მიეწერა – „ერთი საგანმანათლებლო პრობლემის გამო“. სტატია საკმაოდ ვრცელია, შესავალთან ერთად 11 ქვეთავია. მე კი შევეცადე, მხოლოდ შესავალ ნაწილს და პირველ ქვეთავს გამოვხმაურებოდი.

გთავაზობთ სტატიის შესავალი ნაწილის შემცირებულ ვარიანტს:

❖ ***„როგორც ცნობილი გახდა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ბოლოს, წელს პირველად უნდა ჩატარდეს საცდელი ტესტირებები..., თუმცა ვშიშობთ, რომ მათ მიერ არჩეული გზა საპირისპირო შედეგს – სწავლების ხარისხის გაუარესებას გამოიწვევს“.***

– შიში საფუძვლიანია, მაღალ საფეხურზე ტესტირებულმა გამოცდამ ჩააგდო სწავლების ხარისხი და იმავეს უნდა ველოდოთ დაბალ საფეხურზეც.

❖ ***„პირადად ჩვენ, დაწყებით საფეხურზე, სტანდარტიზებული საგამოცდო მოდელის დანერგვა იმდენად საგანგაშოდ გვეჩვენება, რომ მოქალაქეობრივ ვალად და პროფესიულ პასუხისმგებლობად მივიჩნიეთ ჩვენი მცირე წვლილი შეგვეტანა იმ საფრთხეების გამოვლენაში, რომლებსაც ეს იდეა შეიცავს“.***

– ავტორს აბსოლუტურად ვეთანხმები, გარდა „წვლილის“ ხარისხობრივი განაწილების რანგში. თუ ავტორს დაუჯერეს და ტესტირებული გამოცდა ყველა საფეხურზე უარყვეს, მაშინ მისი წვლილი იქნება კოლოსალურად დიდი.

❖ ***„ვფიქრობთ, ეს საკითხი საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა, რამდენადაც იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი შვილების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესებთან“.***

– ავტორი სწორად ფიქრობს, მაგრამ ამ მიმართულებით განათლების სფეროში დღემდე არაფერი გაკეთებულა.

❖ ***„სასურველია, დაწყებით საფეხურზე გამოცდების დანერგვა-არდანერგვის***

**საკითხი საჯარო განხილვის თემად იქცეს. ჩვენ პირველი ვიქნებით“.**

– დიახ, ბატონო, გეთანხმებით, რომ აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, რესპუბლიკურ გაზეთში, დღემდე თქვენ პირველმა გააკეთეთ განაცხადი, მაგრამ სტატიის სათაურის მინაწერის გამო, ვშიშობ პირველი და უკანასკნელი არ აღმოჩნდეთ.

„სასურველია“ შერბილებული ნათქვამია, უნდა იყოს – „აუცილებელია“, ამიტომ თავიდანვე სტატია უნდა გამოსულიყო რუბრიკით: „საჯაროდ განხილვისათვის“.

❖ ***„განათლების ხარისხის ამაღლების სურვილი გვამოძრავებდა ყველას, როცა გამოცდების უნიფიცირებული სისტემა დავნერგეთ; ყველას გვწამდა (და ამის თაობაზე საჯარო განცხადებებიც კეთდებოდა), რომ ცოდნის დონე მკვეთრად ამაღლდებოდა. თუნდაც იმ საგნებში, რომლებშიც მოსწავლეები საგანგებოდ ემზადებოდნენ“.***

– ყველაში ყველა არ შედის. მე არასდროს არ მწამდა გამოცდების უნიფიცირებული სისტემის და ვიცოდი, რომ ის ვერ გაამართლებდა და ცოდნის დონე მკვეთრად დაეცემოდა. ამის შესახებ დავწერე 13 წლის წინ და წერილით „გუნდში მხოლოდ ქალებია“ მივმართე ერთ-ერთი გაზეთის რედაქციას, რომელთაგანაც მივიღე უარყოფითი პასუხი: „რეფორმა წარმატებით დაიწყო და მინისტრს ხელი არ შევუშალოთ“. აღნიშნული წერილი მხოლოდ 2002 წელს გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთში „ახალი გზა“, რუბრიკა-მოწოდებით: „ყურადღება, პედაგოგებო, მიმდინარეობს განათლების რეფორმა!“

❖ ***„...ეს იმედები გაცრუვდა. გამოცდებში ჩადებულმა მილიონობით ინვესტიციამ შედეგი ვერ გამოიღო“.***

– გამოცდების უნიფიცირებული სისტემა იყო არასწორი იდეა და ასეთ იდეაზე დაფუძნებული ყოველგვარი ქმედება განწირულია. ასე მოხდა ამჯერადაც.

❖ ***„გავიდა წლები და განათლების ხარისხი არ გაუმჯობესებულა. პირიქით, ყველა მის გაუარესებაზე საუბრობს, განსაკუთრებით, უნივერსიტეტის წარმომადგენლები“.***

– წლები ხომ ყველაზე დიდი მსაჯულია. დიახ, განათლების ხარისხი არ გაუმჯობესებულა, პირიქით, გაუარესდა (ეს ერთმაგი დაუჯერებლობა).

თუ ყველა იმას ამბობს, რომ განათლების ხარისხი გაუარესდა, დავუჯეროთ მათ (ეს ორმაგი დაუჯერებლობა).

თუ უნივერსიტეტის წარმომადგენლები საუბრობენ განათლების ხარისხის გაუარესებაზე, დავუჯეროთ მათ (ეს სამმაგი დაუჯერებლობა).

ვინ დარჩა? – მხოლოდ ორი შტო: ხელისუფლება და განათლების სამინისტრო. რატომ არ სჯერათ? – არა, როგორ არ სჯერათ, სჯერათ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, დღევანდელი კვერცხი სჯობს ხვალინდელ ქათამსო. დღევანდელი ხანმოკლე ეკონომიკური მოგება ურჩევნიათ, ხვალინდელ ეკონომიკურად ძლიერ, მაღალი ინტელექტუალური დონის, ბედნიერი მომავლის მქონე ქვეყანას.

❖ ***„შესაბამისად, შეიცვალა ოფიციალურ პირთა დისკურსიც. მათ საჯაროდ განაცხადეს, რომ გამოცდები განათლების ხარისხს ვერ გააუმჯობესებს“.***

– ოფიციალურ პირთა დისკურსის შეცვლა შეიძლება ორაზროვანი იყოს. თუ მათ ხელი აქვთ ჩაქნეული, მაშინ დავიღუპეთ და ეგ არის! ვფიქრობ, დისკურსის შეცვლა განპირობებულია დღეს არსებული საგამოცდო მოდელის შეცვლით, მაშინ, როგორც იტყვიან, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ოფიციალურ პირებს, რომელთაც აღნიშნული საჯარო განაცხადი გააკეთეს, მინდა შევახსენო ერთ-ერთი უდიდესი ფიზიკოსის, ფრედერიკო ჟოლიო-კიურის გამონათქვამი: „რაც უფრო შორდება ექსპერიმენტი თეორიას, მით უფრო უახლოვდება ნობელის პრემიას“. ე.ი. ექსპერიმენტი თეორიაზე ძლიერია. ჩვენ გვქონდა უგამოცდოდ ჩარიცხვის 15-წლიანი ექსპერიმენტი (1990-2004 წწ). შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. გვაქვს მეორე, უფრო ხანგრძლივი, 40-წლიანი ექსპერიმენტი (1975-2014წწ) ფიზიკის მაგალითზე, რამაც ის ფორმალურ საგნად აქცია. მესამე – ამჟამად არსებული ახალი საგამოცდო მოდელის 10-წლიანი ექსპერიმენტი (2004-2014წწ), რომლის შედეგია დღევანდელი რეალობა.

ეჭვგარეშეა, რომ გამოცდა სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის გაუმჯობესების ერთადერთი და ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორია.

❖ ***„დასკვნა დაგვიანებულია, მაგრამ მართებული; არც არსებული საგამოცდო მოდელი და არც რეპეტიტორთა ინსტიტუტი არ აღმოჩნდა ის საშუალებები, რომელიც ხელს შეუწყობდა განათლების ხარისხის გაუმჯობესებას“.***

– დასკვნის დაგვიანების „მართებულობა“ გაუმართლებელია, თუმცა დაგვიანებას შეიძლება ჰქონდეს თავისი მიზეზები: განათლების მინისტრების არაპროფესიონალიზმი, გაუბედაობა, მლიქვნელობა, სწავლა-განათლების ხარისხის იგნორირების ხარჯზე დროებითი ეკონომიკური მოგება.



ტესტურმა გამოცდამ მრავალ მანკიერებას დაუდო საფუძველი, მაგალითად, რეპეტიტორთა ინსტიტუტის გადაგვარება. დღეს არსებობს გადაგვარებულ რეპეტიტორთა მთელი არმია, რომლებიც ინფორმაციას გადასცემენ ზედაპირულად /ეროვნული გამოცდების მოთხოვნების შესაბამისად/.

❖ ***„თუ გსურს მდგომარეობის გამოსწორება, რეალობას თვალებში უნდა შევხედოთ, დაშვებული შეცდომები უნდა აღმოვაჩინოთ, გავაანალიზოთ და ვიშრომოთ მათ გამოსასწორებლად“.***

– ზემოთ მოცემული აბზაცი, ჩვეულებრივ, მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება, მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ კი კეთდება. არ გვსურს მდგომარეობის გამოსწორება; რეალობას შებრუნებულად ვუყურებთ; შეცდომები აღმოჩენილი და გაანალიზებულია, მაგრამ არ გვსურს ვიშრომოთ მათ გამოსწორებაზე.

❖ ***„უნიფიცირებულმა სისტემამ, პირველ ეტაპზე, შეასრულა იმდროინდელი საზოგადოებრივი დაკვეთა – მან მოსპო უმაღლეს სასწავლებლებში დამკვიდრებული კორუფცია. ეს იყო უდავო წარმატება, რის გამოც გამოცდების ახალმა მოდელმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა“.***

– უნიფიცირებული სისტემის მიერ შესრულებულმა საზოგადოებრივმა დაკვეთამ ვაის გაგვყარა და უის შეგვყარა.

—მან მოსპო უმაღლეს სასწავლებლებში დამკვიდრებული კორუფცია, მაგრამ ეს იყო ფსევდოწარმატება, რომელმაც პირველივე გამოცდიდან გაუხსნა ასპარეზი უცოდინართა და უვიცთა მრავალრიცხოვან მასას.

„საყოველთაო“ აღიარებას რაც შეეხება, ამის თაობაზე ფრანგებს აქვთ ყველაზე კარგი მიდგომა – ისინი პიროვნებებს, საზოგადოებრივ მოვლენებს, მაშინვე კი არ აღიარებენ, არამედ წლების შემდეგ.

საზოგადოება, თავისი არაპროფესიონალიზმის გამო, მოვლენებს პირდაპირ და ზედაპირულად აღიქვამს. ამიტომ მოვლენების დასაწყისში ხშირად ცდება, მაგრამ საბოლოოდ ყოველთვის სწორ დასკვნებამდე მიდის.

გამოცდების ახალმა მოდელმა მოიპოვა „საყოველთაო“ აღიარება, ხოლო ექსპერტების, პედაგოგების და პროფესორ-მასწავლებლების – გაოგნება.

❖ ***„პირველად შექმნილი წარმოდგენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ შემდგომში აღარავის გადაუსინჯავს“.***

– არგადასინჯვას თავისი მიზეზები აქვს და ამის ძირითადი მიზეზია დროებით ეკონომიკურ მოგებას დახარბებული ხელისუფლება.

❖ ***„რატომ ჩივის ყველა ლექტორი, რომ თავიდან უწევს სასკოლო პროგრამის გავლა“***

– ყველა ლექტორის ჩივილი, რომ მათ უწევთ სასკოლო პროგრამის გავლა, არის დანაშაულის აღიარება. უცოდინარ სტუდენტებთან ლექციების კითხვას დანაშაულებრივ რისკზე წასვლა ურჩევნიათ და სასკოლო პროგრამის თავიდან გავლა.

განა, ისედაც შეჭირვებული ოჯახები იმიტომ იხდიან ათეულ ათასობით ლარს, რომ მათი უმაღლესდამთავრებული შვილების განათლების დონე არ აღემატებოდეს კომუნისტური რეჟიმის დროინდელი, ათწლედდამთავრებული მოსწავლის განათლების დონეს?

❖ ***„უმაღლესში ხომ მხოლოდ ისინი ხვდებიან, ვინც წარმატებით ჩააბარა ტესტური გამოცდები? რატომ აქვს პირველკურსელებს განათლების დაბალი დონე?“***

– ნულს რამდენი ნულიც არ უნდა მივუმატოთ, მაინც ნული მიიღება.

ტესტირებას, ჩემი ჭაბუკობის პერიოდში, უცოდინართა და სკოლადაუმთავრებელთა გამოცდას ეძახდნენ. „უცოდინართა გამოცდა“ როგორი წარმატებითაც არ უნდა ჩააბარონ, მაინც უცოდინარი მიიღება.

დავუბრუნდეთ ისევ სტანდარტიზებულ ტესტირებას.

❖ ***„...იგი შესაძლებელს ხდის, ნახევარ დღეში შეაფასოს ათიათასობით მოსწავლე. ეს მართლაც მომხიბვლელი შესაძლებლობაა იმ სამყაროსთვის, რომელშიც რაოდენობრიობა თვისობრიობაზე ბატონობს“.***

– ნახევარ დღეში ათიათასობით მოსწავლის შეფასება მართლაც „მომხიბვლელია“, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაოდენობრივ ცვლილებებს თან ახლავს ახალ თვისობრიობაში გადასვლის თვისება. ეს კანონი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი კანონია და იგი არ არის დამოკიდებული ვინმეს სურვილებსა და განწყობილებებზე.

სკის ოჯახში ფუტკრების რაოდენობა (მასა) გარკვეული კრიტიკული მასის ფარგლებში უნდა იცვლებოდეს. თუ კრიტიკულ მასაზე ნაკლებია, მაშინ იგი კარგავს ყოველგვარ თვისობრიობას და იღუპება. ასევე, თუ სკის მასა განსაზღვრულ კრიტიკულ მასას გადააჭარბებს, მაშინაც იღუპება.

თუმცა, სკას აღმოაჩნდა უნარი, ყოველთვის ისეთი რაოდენობრივი ცვლილება განახორციელოს, რომლის თვისობრიობით ინარჩუნებს სიცოცხლეს.

ჩვენც გამოვავლინოთ ნება და გამოცდის ისეთი რაოდენობრივი ცვლილება განვახორციელოთ, რომლის თვისობრიობა ქვეყნის მომავალს წაადგება.

**დემურ კუხალეიშვილი**
*ზუგდიდი. ჩხორიის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი*

**P.S.** ნუ ავყვებით დღეს დამკვიდრებულ, მანკიერ საგანმანათლებლო „მოდას“ – სტანდარტიზებულ ტესტირებას.

ცოდნის შეძენის, მეცნიერების დაუფლების, მისი განვითარების შესანიშნავი, ჯადოსნური იარაღი მსჯელობა და დამტკიცებაა. ეს ფორმა დღემდე შეუცვლელია წერითი, ზეპირი, ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება-შეფასებისათვის.

ინფორმაცია

# ახალი სასწავლო წელი დაიწყო

ხანგრძლივი და რთული შესარჩევი კონკურსის დასრულების შემდეგ განათლების სამინისტრომ საჯარო სკოლებს ასარჩევად წარუდგინა დირექტორობის კანდიდატები.

ისე, როგორც სხვა სკოლების საზოგადოება, ჩვენც დიდი მოლოდინით ველოდით ჩვენს ახალ დირექტორს. პირველი სიტყვები, რაც ქალბატონი **ბაია გაბაიძისგან** მოვისმინეთ, იყო:

*„თანამედროვე ცხოვრებაში კრეატიულობა წარმატების მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ასერომ, გამოიყენეთ თქვენი წარმოსახვის უნარი და ნიჭიერება, იყავით ცნობისმოყვარენი და ნუ შეგაშინებთ სიახლეები. ჩვენ ერთი გუნდი ვართ! ერთად ჩვენ ყველაფერს დავძლევთ!“* – გზავნილი გასაგები იყო, ჩვენი სასკოლო მოღვაწეობა არა მარტო რუტინა, არამედ საინტერესო და შემოქმედებითი გახდებოდა.

დავიწყეთ მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის, უკვე ახალი დირექტორის ხელმძღვანელობით. სკოლა გამოცოცხლდა. პედაგოგები ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ თავიანთ საკლასო ოთახებში. სიტყვა და საქმე ჩვენთვის ერთი გახდა.

ერთმა კვირამ სწრაფად გაირბინა და დადგა ახალი სასწავლო წლის პირველი დღე. სკოლის დირექტორი, პედაგოგები და მომსახურე პერსონალი განსხვავებული, მაგრამ საინტერესო და სახალისო იმიჯით წარვდექით მოსწავლეებისა და მშობლების წინაშე. დირექტორმა მოგვილოცა სასწავლო წლის დაწყება და საზოგადოებას სტუმრად მოწვეული წინა წლის კურსდამთავრებულები წარუდგინა, რომლებმაც წარჩინებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები და სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები გახდნენ. შემდეგ იყო წინა წლის წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება სიგელებით. „მხიარულ სტარტებში“ მიღწეული წარმატებისთვის დიპლომებით დაჯილდოვდნენ სპორტის მასწავლებელი **დალი ფეიქრიშვილი** და ბიოლოგიის მასწავლებელი **თამარ ბურჯანაძე**, დიპლომები გადაეცათ მონაწილე მოსწავლეებსა და მშობლებს.






ჩვენს საზეიმო შეკრებას მეტი დატვირთვა შესძინა თბილისის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის დეპუტატის, ქალბატონი **რიმა ბერიძის** სტუმრობამ, რომელმაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და სკოლას თანადგომა აღუთქვა. ქალბატონ ირმას საჩუქრად გადავეცით ჩვენი სკოლის მაისური.

სასწავლო წლის დაწყებას განსაკუთრებული მღელვარებით პირველკლასელები და მათი მშობლები ელიან. ამიტომაც ისინი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცნენ. საჩუქრად გადაეცათ სკოლის ემბლემიანი გულსამაგრი. სახალისო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა მათთვის მეთორმეტე კლასის მოსწავლეებთან ერთად ხეების დარგვა სკოლის ეზოში. საზეიმო შეხვედრის დასრულების შემდეგ მათ თავიანთი საკლასო ოთახი ელოდათ, რომელიც დამრიგებელმა, ქალბატონმა **ნელი კობიაშვილმა** მათთვის დიდი სიყვარულით მოამზადა.

სწავლის დაწყების პირველი დღე ძალიან საინტერესო, ემოციური და სახალისო გამოვიდა. ეს ჩვენი მხრიდან იყო განაცხადი იმაზე, რომ როგორც ეს სასწავლო წელი, ასევე ყველა მომდევნო სასწავლო წელი წარმატებული და საინტერესო იქნება.

**ქეთი თედორაძე**





# „ადამიანში ყოველთვის დადებითი უნდა ეძიო...“

სამყაროში თუ არსებობს სამოთხე, მგონია, რომ ეს ბორჯომ-ბაკურიანია... აქ ყველაფერი ბუნებრივი სილამაზითაა წარმოდგენილი. თბილი და ცივი მინერალური წყლების ბიუვეტები – ეს უკვე მართლაც განძია.

ამ სამოთხეში, თბილისის მერიის დაფინანსებით, საზაფხულო ბანაკებში – კეჩხობსა და ბაკურიანში – წელს თბილისის საჯარო სკოლებიდან, ათიდან თექვსმეტ წლამდე, 3000-მა ბავშვმა დაისვენა.

ვესაუბრეთ ბაკურიანის ცენტრში მდებარე საზაფხულო ბანაკის „კოქტეილის“ უფროსს, უაღრესად კულტურულ, განათლებულ, კომუნიკაბელურ ახალგაზრდას **პაატა ქვლივიძეს**: *„წელს 6 ნაკადი გვქონდა ამ ბანაკში, თითოეულ ნაკადში 100 სოციალურად დაუცველი ბავშვი ისვენებს, თუ რა პირობებში არიან და როგორ ისვენებენ, თავად გაესაუბრეთ“.*

**გიორგი მიქავა**, 29-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე: *„მოვიხიბლე ბაკურიანის შეუდარებელი ბუნებით და ბანაკში მომსახურე პერსონალით, ისინი უაღრესად ლამაზი სულის ადამიანები არიან. რაც შეეხება ბანაკის უფროსს, ძალიან კარგი პიროვნებაა, თითოეული ბავშვის უახლოესი მეგობარია“.*

**გოგა კაკულია** და **ლუკა ჯვარშეიშვილი**, 76-ე საჯარო სკოლის VII და VIII კლასების მოსწავლეები: *„ძალიან კარგი პირობები გვაქვს, კმაყოფილები ვართ და კარგად ვისვენებთ“.*

**ანი მეშველიანი**, ბანაკის ლიდერი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი: *„მეექვსე ნაკადში 100 ბავშვი ისვენებს. იდეალური პირობებია. ყველა ოთახს საკუთარი აბაზანა და ტუალეტი აქვს, ისეთი სისუფთავე და წყნარი გარემოა, თავი მართლაც სამოთხეში გეგონება. სამჯერადი კვება გვაქვს მრავალფეროვანი გემრიელი კერძებით. ყოველდღე იმართება კულტურული და სპორტული ღონისძიებები“.*

**ლიზი დვალი**, 123-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე და მისი და **ელენე დვალი**, X კლასის მოსწავლე: *„ძალიან კმაყოფილები ვართ, კარგად ვერთობით და ვისვენებთ, მეგობრულ ატმოსფეროში ვცხოვრობთ. ეს დაუვიწყარი დღეები ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი ბავშვობის ისტორიაში. დიდი მადლობა თბილისის მერიას დევნილ ბავშვებზე ასე რომ ზრუნავს“.*

ორიოდე სიტყვა თავად ბანაკის უფროსზე – პაატა ქვლივიძეზე. ამ ყურადღებიანმა ახალგაზრდამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მოვიხიბლე მისი ინტელექტით, მას თითოეულ ბავშვთან სათუთი დამოკიდებულება ჰქონდა. ყოველდღე დატვირთულია შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებებით, რომელშიც ბანაკის ყველა ბავშვია ჩართული.

ადამიანში ყოველთვის დადებითი უნდა ეძიო, ასე იოლია ცხოვრება – ამბობს პაატა. გასაკვირი არაა, რომ პიროვნული თვისებები, შეხედულებები, დამოკიდებულებები და ემოციები ხშირად განაპირობებს ადამიანთა განწყობის ჩამოყალიბებას ერთმანეთის მიმართ. საზაფხულო ბანაკში „კოქტეილი“ ყველა ბავშვი ერთმანეთის მიმართ დიდი სითბოთი და სიყვარულითაა განმსჭვალული, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის პაატა ქვლივიძეს.

გამომშვიდობებისას მან მირჩია აუცილებლად გამეცნო **თეა ცომაია**, საზაფხულო ბანაკ „ჰეფი ენდის“ უფროსი და ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი. *„თავის საქმიანობაში მთელ სულსა და გულს დებს. მისთვის ახალგაზრდებთან ურთიერთობა ყველაფერია, ისინი ულამაზებენ და უხალისებენ ცხოვრებას. პირადად მეც მისი აღზრდილი ვარ“.*

თეას სპორტულ დარბაზში შევხვდი. მუშაობის ისეთი დატვირთული გრაფიკი ჰქონდა, დავიბენი, ამდენი ბავშვი ერთად დიდი ხანია არსად მენახა. რას მეტყვით თქვენი ბანაკის შესახებ? – მოგვიანებით დავუსვი კითხვა.

*„წელს ექვსი ნაკადი გვქონდა. ბავშვები თბილისის ყველა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან იყვნენ. ვფიქრობ, ახალგაზრდებთან ურთიერთობა ერთგვარი ხელოვნებაა, ჩემი მთავარი მიზანია, მათ სამშობლოსა და ადამიანების სიყვარული ვასწავლო. ბანაკი ბავშვებისა და ახალგაზრდების დროებითი კოლექტივია, სადაც ერთმანეთთან შერწყმულია სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობა“.*

ბაკურიანის პარკის საფეხბურთო მოედანზე გამართული ამხანაგური მატჩის თვითმხილველი თავად ვიყავი. ერთმანეთს ხვდებოდნენ „კოქტეილის“ და „ჰეფი ენდის“ ფეხბურთელები, მსაჯი კი საზაფხულო ბანაკის – „ჰეფი ენდის“ ლიდერი **ალექსანდრე კოპალიანი** იყო. მაყურებლები ორივე საზაფხულო ბანაკის ბავშვები იყვნენ. მათი ჟრიამული და შეძახილები დიდ ხიბლს მატებდა იქაურობას. და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ბავშვებს ერთმანეთთან ურთიერთობისა და დამეგობრობის შესაძლებლობა მიეცათ.

**ნანა ჭიჭინაძე**

# ბიძინა მაზიაშვილის სახელობის ტურნირი გაიმართა

დედოფლისწყაროში, ელიას მთაზე, ნაძვნარში ბიძინა მაზიაშვილის სახელობის ტურნირი გაიმართა ქართულ ჭიდაობაში. მას ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **გელა ბერუაშვილი** და საპატიო პრეზიდენტი **თამაზ თამაზაშვილი** ესწრებოდნენ.

ტურნირი დედოფლისწყაროს გამგებელმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** გახსნა და აღნიშნა, რომ ამიერიდან კიდევ ერთ ტრადიციას ეყრება საფუძველი – ყოველწლიურად, ელიაობის დღესასწაულზე, ბიძინა მაზიაშვილის სახელობის ტურნირი გაიმართება.

ტურნირში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის, ასევე დედაქალაქის სპორტსმენები. ტურნირი მიმდინარეობდა 62, 68, 73, 82, 90 კგ წონით კატეგორიებში.

ტურნირში მონაწილე ქვემოქედელმა მასპინძელმა სპორტსმენმა, **გიორგი ნათათრალაშვილმა**, 68 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი მოიპოვა.

შეჯიბრებას ხელმძღვანელობდა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული მსაჯთა ბრიგადა. ტურნირის მთავარი მსაჯი გახლდათ ქართული ჭიდაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი თამაზ თამაზაშვილი, რომელიც ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციისათვის ნაბადით დაასაჩუქრეს.

ასპარეზობას გულშემატკივრობდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მაღალი კლასის მოსწავლეები, ასევე კახეთის გუბერნატორი **ირაკლი შიოლაშვილი**, მსოფლიოს ჩემპიონი **უშანგ კუზანაშვილი**, მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი **სოსო ჯაჭვლიანი** და სხვ. ტურნირს უძღვებოდა სპორტული კომენტატორი **დიტო მარინაშვილი**.

ტურნირის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილე ელიას მთაზე ავიდა. ღამის წყვდიადში სანთლებით განათლებული ელია ულამაზესი სანახავი იყო.

**მარიკა პოპიაშვილი**

გამოცდილება

# ჩემი ინტეგრირებული გაკვეთილი

გლობალიზაცია და ეპოქალური ცვლილებები, რომლებსაც შესაძლოა შეეწიროს არა მარტო ჩვენი ეროვნულობის ძალიან დიდი ნაწილი, არამედ თითოეული პირის ადამიანური ღირსება – აი საშიშროება, რომელზედაც ყურადღების გამახვილება თითოეული მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა... და რადგან შესაფერისი თხზულება მოდიოდა სახელმძღვანელოში, ინტეგრირებული გაკვეთილიც დაიგეგმა თემაზე: კონსტანტინე გამსახურდიას „დიდი იოსები".

რამდენიმე ხნით ადრე მოსწავლეებს დავაწერინე არგუმენტირებული ესე სათაურით: „არსებობს მოსაზრება, რომ ეპოქალური ცვლილებები დიდ ზეგავლენას ახდენენ ადამიანზე. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი". მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყეთ შესწავლა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველის „დიდი იოსები". ამ ესეს ლოგიკური გარძელება მოჰყვა ინტეგრირებულ გაკვეთილზე (მოსწავლეებმა გაკვეთილის ბოლოსკენ თავიანთი ზოგადი მოსაზრებები შეუდარეს უკვე კონკრეტული ნაწარმოებიდან გამოტანილ დასკვნებს ამ საკითხზე და თავად დარჩნენ გაოცებულნი, იმდენად დაემთხვა ეს მოსაზრებები. ასე გამოგვივიდა პატარა კვლევაც, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მათი სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში).

გაკვეთილი დაიწყო 1921 წელსა და და საერთოდ საბჭოთა ეპოქაზე დაწერილი ლექსების კითხვით, რათა შექმნილიყო განწყობა იმდროინდელ საქართველოზე. ეს ლექსები მათ თავად ჰქონდათ მოძიებული და სიამოვნებითაც კითხულობდნენ.

მოსწავლეები წინასწარ იყვნენ დაყოფილი ჯგუფებად. თითო ჯგუფს ნაწარმოების თითო პერსონაჟი უნდა წარედგინა, ხოლო ერთ ნაწილს – ტექსტის ისტორიული ფონი. მათ მოამზადეს სლაიდებზე აკრეფილი ინფორმაცია თხზულების გმირებზე ვიდეომასალითურთ. თავდაპირველად, ტექსტის ისტორიული ფონის წარდგენის შემდეგ, გაკვეთილში ჩაერთო ისტორიის მასწავლებელი, რომელმაც მინი-ლექციითა და კითხვა-პასუხით ამოწურა საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის თემა. ამის შემდეგ, ისტორიული და ლიტერატურული მასალის ინტეგრირებისთვის, მოსწავლეებმა, კომპიუტერის დახმარებით შეავსეს ცხრილი მეთოდით: „რა ვიცოდი, რა გავიგე..." – „რა ვიცოდი ამ ეპოქაზე, რა გავიგე ისტორიული მასალიდან ამ ეპოქაზე, რა გავიგე ნაწარმოებიდან ამ ეპოქაზე, რა ცვლილებებს ახდენს ეს ეპოქა ადამიანზე".

გაკვეთილის შემდეგ ნაწილში მოსწავლეებმა წარადგინეს ნოველის პერსონაჟები, რასაც მოჰყვა კითხვა-პასუხი. ისევ კომპიუტერის დახმარებით შეივსო რამდენიმე ცხრილი. 1. თითოეული პერსონაჟის სახეცვლილების განმაპირობებელი ფაქტორები; 2. ეპოქის ქარტეხილში მოყოლილი ადამიანები 1921 წელს და მათი ქმედებები; 3. რატომ დაარქვა დიდი იოსები ამ პერსონაჟს? 4. რა ცოდნა შევიძინე ამ ნაწარმოების შესწავლით და როგორ გამოვიყენებ მას პრაქტიკაში. თვითშეფასება გაკვეთილის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მოსწავლეებმა გამოთქვეს მოსაზრებები, რომ ადამიანის პიროვნული ღირსება და მორალური ფასეულობები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეწიროს არანაირ ეპოქალურ ცვლილებებს, კაცი „სულიერად არ უნდა გაშიშვლდეს".

გაკვეთილი საკმაოდ სახალისო გამოვიდა იმ მხრივაც, რომ მოსწავლეებს თავიანთი მოსაზრებების აკრეფა კლავიატურით უწევდათ. შედეგი კი ყველასთვის თვალსაჩინო იყო მონიტორზე.

ამ გაკვეთილიდან მიღებული ცოდნა კარგა ხანს გაჰყვათ ბავშვებს. როცა უკვე სხვა თემაზე გადასულები რაიმე პრობლემას წამოჭრიდნენ ხოლმე, აუცილებლად ავლებდნენ პარალელს „დიდ იოსებთან". რამდენჯერ უთქვამთ ჩემთვის ღიმილით – „იოსებმა" რამდენი რამ გვასწავლა, მას... და მეც ამით წახალისებულს უამრავი ახალი იდეა გამიჩნდა, რომელთა განხორციელებასაც სექტემბრიდან ვაპირებ.

**თამარ ხამხაძე**
*რუსთავის №4 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

ინფორმაცია

* * *

ისევ ახმაურდა სკოლის ეზო. უჩვეულოდ ლამაზები, გაზრდილები ხვდებიან ერთმანეთს, ყველას ღიმილი უნათებს სახეს!

ყვავილნარი დახვდათ პატარებს – როგორ უშრომიათ და უზრუნიათ პედაგოგებს! მასწავლებლების გარდა მშობლებიც მოსულან და ისინიც, ვისაც სოფლის ავ-კარგი ადარდებს და ხშირად სკოლასაც დასდგომიან გვერდში!





ყველანი „ღონისძიებების ოთახში" იკრიბებიან. ეს ოთახი ივნისში დაგეგმილი ღონისძიებისთვის მოაწყვეს, თვითონ იმუშავეს ბავშვებმა. სტენდიც გააკეთეს, რომელზეც განათლებისა და კულტურის სამინისტროებში გადაღებული ფოტოები გამოფინეს.

პრეზიდიუმში სკოლის დირექტორი **ნაზი ჭილლაძე**, პედაგოგები და საპატიო სტუმრები სხედან. ეკრანზე ის კლიპი გადის, რომელმაც პირველი წარმატება მოუტანათ – „ლახამულა S.O.S !", შემდეგ მეორე კლიპი ენაცვლება – „ლახამულა 2" და დგება დრო, როცა ნაზი მასწავლებელმა დარბაზს გასული სასწავლო წლის მიღწევები კიდევ ერთხელ უნდა შეახსენოს, პედკოლექტივს და მოსწავლეებს მშვიდობიანი, წარმატებული სასწავლო წელი უსურვოს.

საპატიო სტუმრები: მაჟორიტარი დეპუტატი **ვალოდია ჭკადუა** და საკრებულოს წევრი **ავთანდილ ჭკადუა**, სოფლის ახალგაზრდა რწმუნებული **მერაბ საბანიძე**, პედაგოგებიდან **ირმა გურჩიანი** და **ნინელი ეჯიბაძე** გულთბილი სურვილებით ულოცავენ ბავშვებს სასწავლო წლის დაწყებას.

ეკრანზე ისევ სასკოლო ღონისძიებების ამსახველი ფოტოკოლაჟი ჩანს... სკოლის წარჩინებული მოსწავლე **დავით კვირიკაძე** და ყველასგან სიდინჯითა და ჯენტლმენობით გამორჩეული **ბაჩა ჭკადუა** სამადლობელი სიტყვებით გამოდიან და სასწავლო წლის დაწყებას, თანატოლებთან ერთად, საყვარელ მასწავლებლებსაც ულოცავენ.

გასული წლის გარჯა ყველას კიდევ ერთხელ უფასდება. სიგელებით ჯილდოვდებიან წარჩინებული მოსწავლეები, ისინი, ვინც სკოლა და სოფელი ასახელა: **დავით** და **ლუკა კვირიკაძეები, ლერი, ლექსო, ბაჩა, ანა ჭკადუები, მარიკა დავითიანი, მარიამ სუბელიანი**. მართალია, წელს აქ აღარ სწავლობენ, მაგრამ კურსდამთავრებულები – **ანრი დავითიანი, ბეთქილ** და **ლედი ჭკადუებიც** დაჯილდოებულთა სიაში არიან. შრომა უფასდებათ პედაგოგებსაც: **მაცი ჭკადუას, ირმა გურჩიანს, ლუარა სარიშვილს, მარიჯან ჭკადუას, ნინელი ეჯიბაძეს**. ბოლოს, განსაკუთრებულად გამოჩენილი თანადგომისთვის, საპატიო სიგელებით ჯილდოვდებიან: **ავთანდილ ჭკადუა, ნოდარ საბანიძე, ვალოდია ჭკადუა**, ხოლო კონკურსში გამარჯვებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდნენ სოფლის უხუცესი **მაინო საბანიძე**, ამაგდარი ადამიანი **ვალერ ჭკადუა** და მჭედელი **თამაზ ჭკადუა**.

ეკრანზე ახალი კლიპი „მე ვამბობ მადლობას" გადის, რომელსაც ფონად ცნობილი ჰიტი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" გასდევს.

...სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი პრეზენტაცია სრულდება. ზარი ირეკება, ახლა საკლასო ოთახები ესალმებიან მოსწავლეებს, მონატრებიათ ჟრიამული და ჟივილ-ხივილი!

მშვიდობიანი, ბედნიერი სასწავლო წელი დაგდგომოდეთ, ჩემო ძვირფასებო!

* * *

ჩვენ ბედნიერები ვართ, მიუხედავად ყველაფრისა! ჩვენ ის მარადი ბავშვები ვართ, 29 წლის შემდეგაც რომ სიყვარულით ანთებულებს გვიხარია ერთმანეთის დანახვა და სურვილი გვაქვს ერთად ყოფნის...

ჩვენ მესტიის №1 საშუალო სკოლის 1985 წლის კურსდამთავრებულები ვართ. დღემდე პატივს მივაგებთ და არასოდეს გვავიწყდება მარადიულობაში გადასახლებული შმაგი ხერგიანი და ნესტან ნაკანი... არ გვავიწყდებიან ჩვენი ძვირფასი მასწავლებლები, რომელთაც ნამდვილად აღასრულეს თავიანთი ვალი, რადგან დღემდე სიყვარულით, მოკრძალებითა და პატივისცემით ვიხსენებთ მათ...

1974 წელი – 1 სექტემბერი! (მაშინ 1 სექტემბერი იყო სწავლის ახალი წელი!) ახალი ცხოვრების დაწყებას შიშნარევად განვიცდიდით, შეიძლება ზოგი ჩვენგანი ტიროდა კიდეც, არ მახსოვს, მაგრამ მერე და მერე ძალიან კარგი მოგონებები დამრჩა არა მარტო მე, არამედ ყველა ჩემს ამხანაგს, ვინც1985 წლის 25 მაისამდე ერთად ვიყავით ან თუნდაც ერთი ან ორი წლით მაინც იყო ჩვენთან.

რა ტკბილი იყო ნათელა მასწავლებლის გაკვეთილები! როგორი სიყვარული გვასწავლა და ჩაგვინერგა! დღემდე არ გვეთმობა ერთმანეთი, დღემდე ის ბავშვები გვგონია თავი, სკოლის კედლებში რომ ვიყავით.

ნათელა (ჯაფარიძე) მასწავლებელი დღესაც ცოცხალია და დღესაც მცნობს... ძალიან მინდა, მოგონებების სერია დავწერო ჩემს სკოლაზე, ჩემს მასწავლებლებზე... თამრიკო გერლიანის ჩახრინწული ხმა და მტკიცე ხასიათი, დადებით პასუხზე სიხარულით ანთებული თვალები! პაშა ჟორჟოლიანის ღიმილი, პასიკო კვანჭიანის კლასიკური, ლიტერატურული ალგებრა-გეომეტრიის გაკვეთილები, ვერა მიგინეიშვილის ბოტანიკა – მცენარეთა სიმფონია, მარო ჩართოლანის ღრმადმეცნიერული ბიოლოგია, ციცი ნავერიანის ლიტერატურა, თინა გვარლიანის ტკბილი ქიმია, თედო მარგიანის უხეში, მაგრამ ახლა უკვე ლამაზად მოსაგონარი ფიზიკა, შუშანა არღვლიანის ალგებრა, თამარა არღვლიანის ხელსაქმე (მე-9 კლასში 9-დღიან კრუიზ-კონფერენციაზე ყირიმში სკოლაში შეკერილი კაბით რომ წავედი!), ფაცია გუჯეჯიანის მელოდიური რუსული და ნუგზარ ედიბერიძის საოცარი, ალგებრა-გეომეტრიის პოეზია! ანტონ მარგიანის მკაცრი ისტორია და ხუმრობანარევი საყვედური, ლადო ნავერიანის ღიმილნარევი გაბრაზება, არსენა უდესიანის სამხედრო დისციპლინა...

ყველაფერ ამას კი მერი ჯაფარიძის (დღემდე უალტერნატივო ხელმძღვანელის) კოსმიური ენერგია და სიყვარული აერთიანებდა! ქალი, რომლის მკაცრი და, ამავე დროს, ჰუმანური ხასიათი დღემდე ტკბილად და თბილად მოსაგონარია ჩვენთვის!

მე მხოლოდ ამქვეყნიდან წასული მასწავლებლები ჩამოვთვალე და არ მინდა ვინმე გამომრჩეს, ნელი გელაშვილი სულ რამდენიმე თვით გვასწავლიდა ისტორიას და თბილი მოგონება დატოვა... არ იყო ჩვენი მასწავლებელი, მაგრამ მეგობარი იყო უნიჭიერესი, ფაქიზი შემოქმედი სულის, დახვეწილი გემოვნების მქონე რუსუდან შოვნაძე...

ყველამ იცოდა ჩემი განსაკუთრებული სიყვარულის შესახებ ციური გაბლიანისადმი, დღესაც მოწიწებას და მოკრძალებას ვგრძნობ მის მიმართ, მზევინარ ჯაფარიძე მეგობარი იყო თითქმის მთელი კლასის... ტანია ფალიანი, სვეტლანა მჭედლიანი, დალი ხერგიანი, მაია ფანგანი, ჯენერი გვარლიანი, მურად მჭედლიანი, ალიოშა რატიანი. პიონერხელმძღვანელები: ნათელა კვიციანი – რამდენი რამ ვისწავლე მისგანაც, ლია გაბულდანი, ნესტან საღლიანი...

1985 წლის 25 მაისს იასამნების და ცრემლების ზღვა! დიახ, ჩვენ მაშინ გულწრფელი ცრემლებით ვეთხოვებოდით სკოლას და ბავშვობას... ვგრძნობდით, რომ ვერასოდეს ვიქნებოდით ისეთი ბედნიერები, როგორც აქ, ამ კედლებში, ვერავინ ისე ვერ გაგვიგებდა, როგორც ჩვენი მასწავლებლები, რომლებმაც 11 წელი ჩვენთან ერთად გამოიარეს...

1985-ის კურსდამთავრებულები დღემდე განსაკუთრებული სიყვარულით ვიხსენებთ სკოლის ცხოვრებას, ჩვენს აწგარდაცვლილ და ცოცხალ მასწავლებლებს! ვინმეს ჩვენსავით უყვარხართ ძვირფასო მასწავლებლებო?!

უკვე მერამდენე სასწავლო წელი იწყება უჩვენოდ, მაგრამ ყოველი პირველი სექტემბერი (დიახ,1 სექტემბერი!) ჩვენთვის დღესაც ამაღელვებელია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ შეიცვალა, ჩვენთვის მშობლიური სკოლის ეზო უცვლელია, მხოლოდ ფიჭვებს ეტყობათ ასაკი, მაგრამ ამ ფიჭვებს ახსოვთ ჩვენი ბავშვობა და ვახსოვართ ყოფილ მასწავლებლებს!

მიუხედავად ცხოვრების აღმართ-დაღმართისა, ჩვენ ერთმანეთი არ დაგვიკარგავს, ამიტომ, ყველას სახელით, ახალი სასწავლო წელი მინდა მივულოცო მესტიის, ახლა უკვე №1 საჯარო სკოლის პედკოლექტივს, ჩვენ ყოფილ მასწავლებლებს და მათაც, ვინც დღეს მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას ემსახურება!

**ლალი მარგიანი**





# კილაძის მორიგი გასროლა



ესპანურ გრანადაში დამთავრებულ ტყვიის მსროლელთა ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში საკმაო წარმატებით გამოვიდა 14 წლის ქუთაისელი **ლიზი კილაძე**. მართალია, უმედლოდ დარჩა, მაგრამ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მეოთხე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, შესარჩევ ეტაპზე მეორე იყო და, მართლაც რომ, დიდოსტატური შედეგი აჩვენა – 384 ქულა! შედარებისთვის: მას რომ უფროსებში ესროლა, საკვალიფიკაციოში მესამე ადგილზე გავიდოდა. კიდევ ერთი ფაქტი შესადარებლად: ამავე ტურნირზე ქალთა შორის ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** 377 ქულა დააგროვა. სხვათა შორის, კილაძემ წელს უკვე მეორედ აჩვენა სალუქვაძეზე უკეთესი შედეგი.

ამ შედარებებიდანაც ჩანს, რამდენად კარგ შედეგს აჩვენებს ლიზი კილაძე, მაგრამ კიდევ უფრო გასახარი მისი პროგრესია, როგორ ზრდის თანდათან მაჩვენებელს. შარშან სეზონი 377-ქულიანი პირადი რეკორდით დაასრულა, წლეულს ევროპის პირველობაზე 381 დააგროვა, ახლა კი თამასა კიდევ უფრო მაღლა ასწია და უფროსებს დაუახლოვდა. გრანადაში მხოლოდ მასზე ბევრად უფროსებმა გაუსწრეს. მაგალითად, შესარჩევი ეტაპის მომგები ბერძენი **ანა კორაკაკი**, რომელმაც მხოლოდ ორი ქულით აჯობა, 18 წლისაა. ხუთეულის სხვა წევრებიც ჩვენებურზე 4 ან 6 წლით უფროსები არიან, რაც ამ ასაკში სოლიდური სხვაობაა. ასევე 20 წლისაა ფინალში გამარჯვებული ჩინელი მსროლელიც. ისიც საინტერესოა, რომ შესარჩევში გაკეთებული 40 გასროლიდან არც ერთი არ ყოფილა 8-იანი – ვფიქრობ, ესეც სტაბილურობის ნიშანია, ყველას წრის შუაგულში რომ არტყამს.

აქვე შეგახსენებთ, რომ წელს, ევროპის ჩემპიონატზე, ლიზი თანატოლებში მეხუთე იყო. მაშინ მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც გათამაშდა, რომელიც აგვისტოში უკვე ჩატარდა ჩინურ ნანძინში, თუმცა კილაძეს, მცირე ასაკის გამო, სალიცენზიო შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება არ მისცეს, თორემ თავისი შედეგით უპრობლემოდ ხვდებოდა იმ ღონისძიებაზე.

ამ ქულებით კილაძეს უკვე ოლიმპიური ლიცენზიისთვის ბრძოლა შეუძლია. მით უფრო, ასაკი ხელს არ უშლის უფროსთა ტურნირებში გამოსვლაში. ამაზე ფედერაციაშიც ფიქრობენ, მაგრამ, სავარაუდოდ, გაისად ისევ ახალგაზრდებში გაიყვანენ, უფროსთა სალიცენზიო შეჯიბრებებში კი უფრო 2016 წელს ჩართავენ. თუმცა ესეც შედეგებზეა დამოკიდებული – თუ ქუთაისელი ჩუბინი სტაბილურად შეძლებს 380-იან მიჯნაზე ზევით დამკვიდრებას, შესაძლოა, გაისადვე გამოიყვანონ უფროსებში. თუმცა აქ ერთ მტკივნეულ პრობლემას ვაწყდებით – საამისოდ კილაძეს შეკრებები სჭირდება. შარშანაც და წლეულსაც, ყველა იმ შეჯიბრების წინ, სადაც შედეგს მოუმატა, შეკრება გაიარა, ძირითადად – სომხეთში. იქ გავლილი წვრთნები გარკვეული პერიოდი ჰყოფნის, მერე კი ისევ უკლებს. მას წელიწადში 1 ან 2 შეკრება კი უწევს, მაგრამ, მინიმუმ, კიდევ ერთიც რომ იყოს, ეს წვრთნა მთელ სეზონზე სტაბილურად გადანაწილდებოდა.

ნინო სალუქვაძეს არაერთხელ აღუნიშნავს, რაოდენ მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის შეკრება – იქ ისინი თვალსა და ხელს შუა იზრდებიანო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მსროლელებისთვის ფული ყოველთვის პრობლემაა – არც შეკრებებისთვის ჰყოფნით და არც ტურნირებისთვის. ამ მსოფლიოს პირველობაზეც ნაკრები საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს რომ არ დაეფინანსებინა, ფედერაციას ფული არ ჰქონდა და იყო საშიშროება, ვერც წასულიყვნენ. ფული გამოიძებნება და მაშინ წინა პლანზე უკვე საკანონმდებლო და დღემდე მოუგვარებელი პრობლემა გამოდის – სკოლაში გაცდენილი საათები არასაპატიოდ ითვლება. საუბედუროდ, საჯარო სკოლების მოსწავლე ან სტუდენტი სპორტსმენები განათლების სამინისტროსგან ამ ლაფსუსის მოგვარებას ნურც წლეულს ელოდებიან. ეს რომ არა, მაშინ კიდევ შეიძლება, კილაძე, პერიოდულად, თბილისში მაინც ჩამოიყვანონ ხანმოკლე შეკრებაზე. მართალია, ბაზა არც აქაა – არც ღია სასროლეთია და არც სასტუმრო კომპლექსი, სადაც იცხოვრებს, მაგრამ სპარინგების გამო ეს პრობლემა როგორმე მოგვარდება და მაინც ღირს ჩამოსვლა...

კილაძეზე საუბარს იმით დავასრულებთ, რომ ასეთი ქულების შემთხვევაში მას და სალუქვაძეს მესამე მონაწილე, თუნდაც ფორმალურად, რომ დავუმატოთ, გუნდურ ჩათვლაში მედლის მოპოვების შანსი გვექნება.

გრანადაში, მსოფლიო ჩემპიონატზე, ისევ ახალგაზრდებში, ურიგოდ არ გამოსულა თავად სალუქვაძის შვილი **ცოტნე მაჭავარიანი** – პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში საკვალიფიკაციო ეტაპზე 570 ქულა დააგროვა და მე-14 ადგილზე გავიდა, სულ 2 ქულა დააკლდა ფინალამდე. მაჭავარიანს მეტიც დაუგროვებია, მაგრამ ისევ და ისევ – შეკრებებისა და ტურნირების ნაკლებობა. იმედია, ეს პრობლემა ოდესმე მოგვარდება.

# ძიუდოისტთა ახალგაზრდული ტრიუმფი



ბუქარესტში დასრულებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდა ჩვენი ნაკრები – პირადშიც და გუნდურშიც. ინდივიდუალურ პირველობაში 10-კაციანმა გუნდმა 5 მედალი მოიპოვა – 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. კონტინენტის ჩემპიონი, ზედიზედ მეორედ, ქარელელი **ბექა ღვინიაშვილი** (90) გახდა; ვერცხლის მედლები **თორნიკე ნაგლიაშვილმა** (55), **ივანე ჯავახიშვილმა** (60) და **უშანგი მარგიანმა** (81) მოიპოვეს; მესამეზე კი **ლევან გუგავა** (81) გავიდა. ჩვენი ნაკრები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო აღმოჩნდა. თუმცა ბუქარესტშივე გუნდური პირველობა საგანგებოდაც ჩატარდა და ჩვენებმა იქაც ყველას აჯობეს.

ცხადია, ჩვენი გუნდიდან გამორჩეული ღვინიაშვილი იყო, რომელმაც ყველა მეტოქეს დამაჯერებლად, დიდი უპირატესობით მოუგო. არადა, მეორე წრეში უფროსთა შორის მსოფლიოს წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი, უნგრელი **კრისტიან ტოტი** შეხვდა, ვინც პლანეტის პირველობაზე წონის ლიდერი **ვალერი ლიპარტელიანი** დაგვიმარცხა. ღვინიაშვილმა უნგრელს არანაირი შანსი არ დაუტოვა და კარიერაში უკვე მეოთხედ მოუგო. ნახევარფინალში მან ესპანეთის სახელით მოჭიდავე **ნიკოლოზ შერაზადიშვილსაც** აჯობა, რომელიც საბოლოოდ მესამეზე გავიდა.

მოულოდნელი იყო ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი წევრის – მარგიანის მარცხი ფინალში სერბ **ნემანია მაჯდოვთან** (ნახევარფინალში მარგიანმა მის ძმას – **სტეფან მაჯდოვს** მოუგო, თავად ნემანიამ კი გუგავა დაამარცხა). ჩვენებური ვაზარით იგებდა, მაგრამ ერთ მომენტში ბრუნზე კარგად ვერ გადააგდო და თავად მოჰყვა ვაზარიზე. ამ დროს გაფრთხილებით აგებდა, რისი გაქვითვაც ვერ შეძლო. მარგიანმა სრულიად გაუმართლებლად გარისკა, თორემ დრო იწურებოდა და მოგება გარანტირებული ჰქონდა, ილეთი აღარც სჭირდებოდა უკვე.

ჩვენები ტრადიციულად ძლიერად გამოვიდნენ გუნდურ შეჯიბრებაში. სხვათა შორის, ამ ასაკში ევროპირველობაზე გუნდური შეჯიბრება პირველად გაიმართა. შარშან ასევე პირველად ჩატარდა მსოფლიოზე და ორივე შემთხვევაში ჩვენებმა გაიმარჯვეს. კიდევ ერთხელ გამართლდა ძიუდოს ევროპული ფედერაციის პირდაპირი რეპორტაჟების ბრიტანელ კომენტატორთა სიტყვები, ტურნირს და ასაკს მნიშვნელობა არ აქვს, ყოველთვის ქართველები იგებენო.

**გია გუგავას** დამოძღვრილი ნაკრები პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი 5:0 მოუგო საფრანგეთს, ნახევარფინალსა და ფინალში კი ერთნაირი ანგარიშით – 3:2 დაამარცხა, შესაბამისად, რუსეთი და უკრაინა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორ შეხვედრაში 1:2 ვაგებდით, მაგრამ ორივეს „ამოვუქაჩეთ“. ორივე შემთხვევაში ღვინიაშვილმა და **გურამ თუშიშვილმა** იყოჩაღეს, რომლებმაც კრიტიკული პაექრობები განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს. ამათგან უფრო მოულოდნელი თუშიშვილის ჩინებული ჭიდაობა იყო. მას ხელის ტრავმა აწუხებს და პირადში ადრევე წააგო. თან 100 კილოგრამის ფალავანს თავისზე მძიმეებთან – მძიმეწონოსნებთან უწევდა პაექრობა. ამის მიუხედავად, წარმატებით გაუმკლავდა იქაურებს. თან რუსებს პირადი პირველობის მესამე პრიზიორი **ტამერლან ბაშაევი** ჰყავდათ შემადგენლობაში, უკრაინელებს – სულაც ჩემპიონი **იაკიმ კამო**. ჩვენებურმა ორივეს წმინდად მოუგო.

# ქართველთა გამოსვლა ნანძინში

აგვისტოში ჩინურმა ნანძინმა მეორედ უმასპინძლა მსოფლიოს მეორე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს, რომელშიც 12 ქართველი მოზარდი მონაწილეობდა სპორტის 7 სახეობაში. ჩვენებურთა მონაგარი 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაოა. ვიცე-ჩემპიონები ძიუდოისტი **თამაზ კირაკოზაშვილი** (81) და თავისუფალი სტილით მოჭიდავე **მექი სიმონია** (76) გახდნენ, ბრინჯაოს კი ასევე „თავისუფლად“ მოჭიდავე **ივერიკო ჯულაყიძე** (63) დაეუფლა. თამაშებში 204 ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობდა. აქედან მედალი 80-მა მოიპოვა, მათ შორის კი საქართველო, ამ სამი მედლით, 58-ე აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ მოჭიდავეებმა ამ ზაფხულსვე, ჩინეთში წასვლამდე ორიოდე თვით ადრე, თანატოლთა ევროპის ჩემპიონატშიც იჭიდავეს, სადაც ზუსტად ამავე ხარისხის მედლები მოიპოვეს.

თუმცა, მედალოსანთა გარდა, სხვებსაც ჰქონდათ გარკვეული წარმატებები. მართალია, ისინი უმედლოდ დარჩნენ, მაგრამ ქვეყანაში სადღეისოდ სპორტის ამ სახეობების მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ურიგოდ არ გამოსულან. მაგალითად, მძლეოსნობაში სიგრძეზე მხტომელი **მარიამ ძაგნიძე** და სამმხტომელი **გოგა მაღლაკელიძე** VII ადგილზე გავიდნენ, მოკრივე **გიორგი ხარაბაძე** – VI-ზე, მოფარიკავე **ნიკოლოზ შენგელია** – VIII-ზე. უნდა აღინიშნოს, რომ შენგელიამ ევროპის მედალოსნებს მოუგო.

ნანძინში ბევრად უკეთესი შედეგი გვექნებოდა, ერთი უიღბლობა რომ არა – ნახევარფინალში მუხლი იტკინა ძიუდოისტმა **მარიამ ჯანაშვილმა** (52) და ის შეხვედრა ხომ წააგო, ვერც ბრინჯაოსთვის იჭიდავა ჯეროვნად და მეხუთეზე დარჩა. ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონს, რაც პირველი ტიტულია ქართველ ძიუდოისტ ქალთა შორის, ერთი მუხლი მანამდეც აწუხებდა, რის გამოც მოსამზადებელი პროცესი, პრაქტიკულად, ჩაუვარდა, ჩინეთში კი მეორე მუხლიც იტკინა. მედალი მედლად ხომ დავკარგეთ, ამ უმძიმესი ტრავმების გამო ის ორივე ფეხზე საოპერაციოა, რის გამოც გაუცდება წლევანდელი სეზონი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებებით – კვირის ბოლოს, ბუქარესტში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში უნდა ეჭიდავა, ოქტომბერში კი – მსოფლიოს პირველობაზე. სამწუხაროდ, ორივე შეჯიბრებას გამოაკლდება და გაუცდება მომავალი სეზონის პირველი ნახევარი მაინც, როცა სალიცენზიო ტურნირებში უნდა გამოსულიყო და დაეწყო ბრძოლა რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე მოსახვედრად.

როგორც ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებმა ნანძინიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადეს, ჩინელებმა უმაღლეს დონეზე ჩაატარეს თამაშები. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ის უფროსთა ოლიმპიადას მხოლოდ მონაწილეთა ბიოლოგიური ასაკით ჩამორჩებოდა, თორემ სხვა მხრივ ყველაფერი ისე ორგანიზებულად ჩატარდა, როგორც „დიდ“ თამაშებზე ხდება. იქ ნანახის გრანდიოზულმა მასშტაბმა, აგრეთვე თავად მონაწილეთა მიდგომამ, ჩვენებსაც სიახლეებისკენ უბიძგა. ჩინეთიდან დაბრუნებულმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა** განაცხადა, ეს უკვე იმდენად კომპლექსური და მასობრივი ღონისძიება გახდა, რომ ოთხი წლის შემდეგ ბუენოს აირესში გასამართავ მესამე თამაშებთან დაკავშირებით მზადება ახლავე უნდა დავიწყოთ და საჭიროა, ეს პროცესი ისეთივე გრაფიკში მოექცეს, როგორც, ვთქვათ, 2015 წლის ევროპული ახალგაზრდული ფესტივალისთვის მზადება მიმდინარეობს, ამაში კი ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტის სამინისტრომ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონო.

დასასრულს გეტყვით, რომ სახელმწიფოს მხრიდანაც სიახლეა ამ ასაკის მოზარდებთან მიდგომაში – სათანადო დოკუმენტში შედის ცვლილება, რომლის თანახმად ეს ღონისძიებაც გაუთანაბრდება ჭაბუკების სხვა პირველხარისხოვან შეჯიბრებებს, ანუ ევროპისა და მსოფლიოს პირველობებს და აქ მოპოვებული წარმატებისთვისაც მიიღებენ სახელმწიფო პრემიებს. ოღონდ ჯერ თანხის ოდენობა საბოლოოდ შეთანხმებული არაა. მთავარია, ამ მიმართულებით ნაბიჯი გადაიდგა, პარამეტრები კი დაზუსტდება; წინასწარი მონაცემებით, უმნიშვნელო თანხა არ იქნება.

რუბრიკას უძღვება
**ირაკლი თავაძე**

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი




ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გექნებათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.



### სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

## თემატური პლაკატები

### დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

## თემატური პლაკატები

### მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

## რეპროდუქციები
### ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგოველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საქანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

## ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
### მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი
4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

## წიგნის თარო — მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკა"

- თეოდორ ფონტანე - ეფი ბრისტი (ახალი)
- მიგელ დელიბესი - ორი რომანი (ახალი)
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - დროის ინსტიტუტი
- ჟან ჟიონო - ჰუსარი სახურავზე
- ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
- რაფაელ საბატინი - ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა
- ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელექსირები
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- ჯონ გოლზუორთი - რჩეული მოთხრობები
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
- მარგერიტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- პროსპერ მერიმე - ილელი ვენერა
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - დონ კიხოტის დაბრუნება
- სტენდალი - წითელი და შავი
- ჯონ ბრეინი - გზა ელიტისაკენ
- ალბერტო მორავია - მოწყენილობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- მაინ რიდი - კვარტერონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლიხტენშტაინი
- თეოდორ დრაიზერი - დაიკო კერი
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
- ემილ ზოლა - ქალთა ბედნიერება

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



## რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება",
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22



## შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან **ინტელექტი სკოლას**

ფასი – 15 ლარი



**თამაზ ვასაძე**
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



**თამაზ ვასაძე**
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი



**თამარ ბეროზაშვილი**
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

### ქიმია
საატესტატო–საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

### ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

### ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაბალიშვილი
ფასი – 4 ლარი

### გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

### ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

### ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

### მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

### ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

დიოგენე

გამომცემლობა „დიოგენე"

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK